

სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოებაში  
ქართული კანონმდებლობის თანახმად

თამარ ელიზბარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი.



ხელმძღვანელი: ოთარ მაჩაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი

თბილისი

2019

## სარჩევი :

I. შესავალი .....	5
II. ძირითადი ნაწილი .....	8
1. სასამართლოს როლი არბიტრაჟის შემადგენლობის დანიშვნისას .....	8
1.1. არბიტრების დანიშვნა .....	8
1.1.1. არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემა .....	8
1.1.2. არბიტრობის კანდიდატი და მისი პიროვნული თვისებები .....	9
1.1.2.1. არბიტრის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა .....	10
1.1.3. არბიტრ(ებ)ის დანიშვნა მხარეების მიერ .....	11
1.1.3.1. არბიტრ(ებ)ის რაოდენობა .....	11
1.1.4. სასამართლოს მიერ არბიტრების დანიშვნა .....	13
1.1.4.1. არბიტრების დანიშვნაში სასამართლოს ჩარევის საფუძველი .....	13
1.1.4.2. სასამართლოს განსჯადობა .....	13
1.1.4.3. ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება .....	14
1.1.4.4. არბიტრ(ებ)ის დანიშვნის საფუძველები .....	15
1.1.4.6. თანხმობა არბიტრად დანიშვნაზე .....	17
1.2. არბიტრ(ებ)ის აცილება .....	18
1.2.1. არბიტრ(ებ)ის აცილების საფუძველი .....	18
1.2.2. სასამართლოს მიერ არბიტრების აცილება .....	19
1.2.2.1. მხარეთა შეთანხმების პირობებში .....	19
1.2.2.2. მხარეთა შეუთანხმებლობის პირობებში .....	20
1.2.2.3. სასამართლოსთვის არბიტრის აცილების საკითხზე მიმართვის ვადა და პროცედურა .....	21
1.3. სასამართლოს მიერ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა .....	23
1.3.1. კომპეტენტური სასამართლო .....	24
1.3.2. სასამართლოსთვის მიმართვის ვადა .....	24
1.3.3. არბიტრების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველები .....	25
2. სასამართლოს როლი სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას .....	25
2.1. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება .....	25
2.1.1. სარჩელის უზრუნველყოფის არსი .....	25
2.1.2.1. განსჯადი სასამართლო .....	27

2.1.2.2.	სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი მხარე.....	27
2.1.2.3.	განცხადების სასამართლოში წარდგენის ვადა.....	28
2.1.2.4.	განცხადების წარმოებაში მიღების წინაპირობები .....	29
2.1.2.5.	განცხადების განხილვა .....	30
2.2.	არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება.....	31
2.2.1.	არბიტრაჟის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვა 31	
2.2.2.	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წინაპირობები.....	31
2.2.2.1.	გარანტია, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობა.....	33
2.2.3.	საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც სასამართლოს კონტროლის მექანიზმში საარბიტრაჟო წარმოებაში.....	34
2.2.4.	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვა.....	35
2.2.4.1.	განსჯადი სასამართლო .....	35
2.2.4.2.	თანდართული დოკუმენტაცია.....	36
2.2.4.3.	განცხადების განხილვის ვადები და პროცედურა .....	36
2.2.5.	ცნობა-აღსრულება უარის თქმის საფუძველები.....	36
3.	მტკიცებულების განხილვის ეტაპი .....	38
3.1.	არბიტრაჟის მიერ მტკიცებულებათა განხილვის უფლებამოსილება .....	38
3.2.	სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში .....	39
3.2.1.	სასამართლოს მხრიდან დახმარება მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით .....	40
4.	სასამართლოს უფლებამოსილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან მიმართებით .....	42
4.1.	საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.....	42
4.2.	საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება .....	43
4.2.1.	საარბიტრაჟო გაუქმების საფუძველები .....	45
4.2.1.1.	მხარის მოთხოვნით .....	46
4.2.1.2.	სასამართლოს ინიციატივით .....	48
4.3.	საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება .....	49
4.3.1.	ცნობა-აღსრულების პროცედურა.....	50

4.3.1.1. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებს თავისებურებები .....	52
4.3.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა.....	52
III. დასკვნა .....	53
ბიბლიოგრაფია .....	55

## I. შესავალი

როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოს შიგნით არსებულმა საბაზრო ეკონომიკური პროცესების და ურთიერთობების მზარდმა ტენდენციებმა, წარმოქმნილი დავების განხილვის მიზნით, საჭირო გახადა ჩამოყალიბებულიყო უფრო მოქნილი და ოპტიმალური საშუალება. სწორედ ასეთ ინსტიტუტს წარმოადგენს არბიტრაჟი, რომლის აქტუალობა, დღესდღეისობით, უფრო და უფრო იზრდება.

არსებობს მოსაზრება, რომ არბიტრაჟი სასამართლის პირველსახეა,<sup>1</sup> ვინაიდან სასამართლოების ჩამოყალიბებამდეც არსებობდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით, ზუსტად მიესადაგება არბიტრაჟის არსს. სასამართლო ხელისუფლების განვითარების ეტაპზე კი მათი როლი საგრძნობლად შემცირდა. თუმცა, ამჟამინდელი გლობალიზაციის და სავაჭრო ურთიერთობების პირობებში, სასამართლოს განტვირთვის და დავის სწრაფად და ეფექტურად მოგვარების მიზნიდან გამომდინარე, არბიტრაჟის პოპულარობა დღითიდღე მატულობს.

არბიტრაჟთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტაციას წარმოადგენენ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია, “უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ” და 1985 წელს UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) მიერ გამოშვებული „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონი“, 2006 წელს შესული ცვლილებების გათვალისწინებით.<sup>2</sup> ეს უკანასკნელი ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა, რომელთაც არ გააჩნიათ საარბიტრაჟო კანონმდებლობა, შექმნან იგი უკვე გამზადებული მოდელის მიხედვით, ან მისით შეცვალონ მოძველებული საარბიტრაჟო კანონმდებლობა.<sup>3</sup>

საქართველოში, 1997 წლის 17 აპრილს, მიღებულ იქნა კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც წარმოადგენდა ნოვაციას ქვეყნის მატერიალურ სამართლებრივ სივრცეში, ასევე ადგენდა ახალ შესაძლებლობებს სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების მეშვეობით, რითაც ზღუდავდა სასამართლოს უფლებამოსილებას, როგორც ამ მომენტამდე ერთადერთ სამოქალაქო დავების განმხილველ ორგანოს.<sup>4</sup> თუმცა, იგი არ ითვალისწინებდა მოდელური კანონის პრინციპებსა და წესებს.

<sup>1</sup> ჭიტაშვილი რ., მედიაციის უპირატესობები არბიტრაჟთან შედარებით, წელიწდეული, 2013, გვ.132

<sup>2</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე, 2013 წ., გვ xi

<sup>3</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე, 2013 წ., გვ xviii

<sup>4</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 50

აღნიშნული კანონი შეიცავდა უამრავ ხარვეზს : უპირველს ყოვლისა, მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ ის თავისი ფორმითა და შინაარსით მხოლოდ ნაციონალურ დონეზე არსებული არბიტრაჟის მარეგულირებელ აქტს წარმოადგენდა და თითქმის გამორიცხული იყო მისი გამოყენება საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან მიმართებაში. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ასეთი ინსტიტუტების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების წესის არარსებობას.<sup>5</sup> ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კანონის 43-ე მუხლის მიხედვით, მხარის მიერ გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნის ფარგლებში, სასამართლოს უფლება ჰქონდა „შეეცვალა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“,<sup>6</sup> რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა არბიტრაჟის არსს, ვინაიდან მხარეები მიღწეული შეთანხმებით, გამორიცხავენ სასამართლოს იურისდიქციას.<sup>7</sup> ასევე აღსანიშნავია, მხარეებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობებში ჰქონდათ, კერძოდ, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლებრივ ნორმებს, ან დარღვეული იყო მხარეთა შეთანხმება.<sup>8</sup> კანონის 42.1. მუხლის თანახმად კი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის დროს, იგი იძულებით უნდა აღსრულებულიყო, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე. ყოველგვარი შემდგომი კონკრეტიკის გარეშე საკანონმდებლო დონეზე, ამგვარი უკონტროლო საჯარო კომპეტენციის გადატანა კერძო სამართლის სუბიექტზე, რომელიც თავისი არსითა და იდეით მიმართულია მოგების მიღებაზე, საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო,<sup>9</sup> ვინაიდან არბიტრაჟის მხრიდან შეიძლება ადგილი ჰქონოდა თვითნებობას და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რის აღკვეთასაც სახელმწიფო ვერ მოახერხებდა, შესაბამისი კანონმდებლობის არქონის გამო.

ამრიგად, საარბიტრაჟო კანონმდებლობამ ჰკოვა ძალიან მანკიერი განვითარება და საჭირო გახდა ახალი რეგულაციების შემუშავება, რომელიც ჰარმონიზირებული იქნებოდა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში. შესაბამისად, 2009 წლის 19 ივნისს შემუშავებულ იქნა დღეს მოქმედი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი(შემდგომი - კანონი), რომელსაც საფუძვლად დაედო UNCITRAL-ის მიერ შემუშავებული მოდელური კანონი და საარბიტრაჟო წარმოების წესების რეგლამენტი.

არბიტრაჟი წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას. მოქმედი კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იგი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის

<sup>5</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2008წ, გვ 98

<sup>6</sup> იქვე

<sup>7</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 71

<sup>8</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 50

<sup>9</sup> იქვე

მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის და ასევე, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა.<sup>10</sup> იგი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რადგან სახელმწიფო არ დაუშვებს თავის წიაღში აბსოლუტურად დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელებას.<sup>11</sup> ვინაიდან ისეთი ინსტიტუტის არსებობა, რომელსაც ექნებოდა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ძალა, საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოში არსებულ სამართლებრივ წესრიგს. სასამართლოს ზედამხედველობა ცალკეულ საარბიტრაჟო პროცესებზე, განსხვავებულად ხორციელდება, ვინაიდან არ არსებობს რაიმე ერთიანი სტრუქტურა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა წარმოების ყველა ეტაპზე.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული განხილვის საშუალების გამოყენების მამულებური ხასიათიდან გამომდინარე. საყურადღებოა, რომ საერთო სასამართლოებთან შედარებით, არბიტრაჟი დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვის საშუალებად იქნა აღქმული, რაც განპირობებულია პროცედურული თვალსაზრისით მთელი რიგი უპირატესობებით.<sup>12</sup> სასამართლოების გადატვირთულობის გამო, თითოეული საქმის განხილვა დროში გაწელილი პროცესია. არბიტრაჟი კი დავების გადაწყვეტის უფრო სწრაფი და ეფექტური საშუალებას იძლევა. ამას ისიც განამტკიცებს, რომ დაუშვებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება,<sup>13</sup> არამედ გასაჩივრების მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობებს ითვალისწინებს, რაც თავისთავად გულისხმობს, მხარეების მიერ დროის და ფინანსების დაზოგვას. მნიშვნელოვანია, ისიც რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების განსხვავებულ წესებზე.<sup>14</sup> ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟი წარმოადგენს „ახალგაზრდა“ ინსტიტუტს, რის გამოც პრაქტიკული კუთხით მასთან დაკავშირებული გამოცდილება ძალზე მცირეა. არსებობს საფრთხე, რომ იგი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოქმედების პერიოდის მსგავსად მანკრიერად განვითარდეს, რაც გამოიწვევს მის დისკრედიტაციას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ იმ ძირეული საკითხების, დეტალების და კანონმდებლობით გაწერილი რეგულაციების განხილვა, რაც მოცემული ინსტიტუტის სწორ სამართლებრივ ზრდას განაპირობებს.

ნაშრომში განხილულია, საქართველოს შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების საფუძველზე, არბიტრაჟის და სასამართლოს ურთიერთდამოკიდებულება, თუ რა ფუნქციების შეთავსება შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო განხილვის სხვადასხვა ეტაპებზე. წარმოჩენილია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეულ მნიშვნელოვანი რეგულაციების და ნორმების,

<sup>10</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1.2.

<sup>11</sup> გოთუა ლ., მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ., გვ. 138

<sup>12</sup> ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2003 წ., 2003 წელი არ იქნება, 2013 ალბათ გვ. 184.

<sup>13</sup> ჭიტაშვილი რ., მედიაციის უპირატესობები არბიტრაჟთან შედარებით, წელიწდეული, 2013, გვ.157

<sup>14</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.2.

მოდელურ კანონთან მსგავსება-განსხვავება. ასევე მოცემულია არსებული სამართლებრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომი მთავარი აქცენტი გაკეთებულია, საარბიტრაჟო წარმოების ოთხ სხვადასხვა სტადიაზე სასამართლოს ჩარევის მექანიზმებზე. პირველ რიგში განხილულია, საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტების საკითხთან მიმართებაში, კანონმდებლობით განსაზღვრული, სასამართლო როლის მნიშვნელობა. თუ რა სახის მოქმედებების განხორციელება შეუძლია მას, როდესაც მხარეების ვერ თანხმდებიან არბიტრ(ებ)ის დანიშვნის, აცილების და უფლებამოსილების საკითხებთან დაკავშირებით. შემდეგი ნაწილი ეთმობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას, რომელთა აღსრულებაც შეუძლებელია სასამართლოს ზედამხედველობის გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია, სასამართლოს დახმარების ფუნქცია, რომელიც გამოიხატება, საარბიტრაჟო განხილვის დროს, მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებით ხელის შეწყობაში. და ბოლოს განხილულია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისი ცნობა-აღსრულებასთან მიმართებაში, სასამართლოს მაკონტროლებელი როლის ძირითადი ასპექტები.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, წარმოაჩინოს არბიტრაჟის საქმიანობაში სასამართლოს ჩარევის საფუძვლები და მათი ფარგლები, რათა არ მოხდეს არბიტრაჟის ინსტიტუტის არსის დაკნინება, სასამართლოს მიერ განუსაზღვრელი კონტროლის განხორციელების ხარჯზე.

## II. ძირითადი ნაწილი

### 1. სასამართლოს როლი არბიტრაჟის შემადგენლობის დანიშვნისას

#### 1.1. არბიტრების დანიშვნა

##### 1.1.1. არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემა

ნებისმიერი სამართლებრივი დავის განხილვისთვის სასამართლო წარმოადგენს კომპეტენტურ საშუალებას და, ზოგადად, თუკი მხარეთა შორის ნებისმიერი სახის დავა პირველ რიგში მოსაგვარებლად სწორედ მას მიმართავენ.<sup>15</sup> თუმცა, მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ მათ შორის წარმოშობილი უთანხმოების გადასაწყვეტად, მიმართონ არა სასამართლოს, არამედ მის პარალელურად არსებულ - დავის განხილვის ალტერნატიულ საშუალებას, კერძოდ არბიტრაჟს.

საარბიტრაჟო განხილვის საფუძველია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს დავის არბიტრაჟის მიერ განხილვასა და გადაწყვეტას.<sup>16</sup> ასეთი შეთანხმებით გამოირიცხება სასამართლოს კომპეტენცია, განიხილოს მხარეებს შორის შეთანხმებით განსაზღვრული სადავო მდგომარეობა. შესაბამისად, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას, რომელშიც ნათლად და გარკვევითაა მითითებული ის ინდივიდუალური ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც წარმოშობილი დავა გადაეცემა არბიტრაჟს და

<sup>15</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ. 83.

<sup>16</sup> Комаров В. В., Погорецкий В. Н., Международный коммерческий арбитраж, Право, Харьков, 2009, 38

აგრეთვე, ბუნებრივია, ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომლის მეშვეობითაც მხარეებს სურთ დავის მოგვარება.<sup>17</sup> ეს დათქმა მბოჭავი ხასიათისაა და გამორიცხავს მხარეების მიმართ, შეთანხმებით გათვალისწინებულ დავაზე, სასამართლო წარმოების დაწყებას.

მხარეების მიერ წარმოშობილი დავის გადაწყვეტის, საარბიტრაჟო ინტიტუტისთვის მინდობის ერთ-ერთი მიზანი ისაა, რომ მხარეებს საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ გაითვალისწინონ, საქმის წარმოებაში გამოსაყენებელი, განსხვავებული წესები და რეგულაციები. პირველ რიგში, ეს ეხება საარბიტრაჟო განხილვის წამმართველი ფიგურის - არბიტრის, არჩევის, აცილების და უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხებს.

### **1.1.2. არბიტრობის კანდიდატი და მისი პიროვნული თვისებები**

არბიტრები საარბიტრაჟო განხილვის ცენტრალური ფიგურებს წარმოადგენენ. მათზე დამოკიდებული როგორც განხილვის მიმდინარეობის, ასევე საბოლოო გადაწყვეტილების ხარისხი.<sup>18</sup> აქედან გამომდინარე, არბიტრების არჩევა მეტისმეტი სიფრთხილით და ყურადღებით უნდა მოხდეს. ვინაიდან, არბიტრაჟი ისეთივეა, როგორცაა არბიტრი.<sup>19</sup>

არბიტრაჟის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მხარეებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომელთაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება იმ სფეროში, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს.<sup>20</sup> მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ არბიტრთა რაოდენობის, ვინაობის, სპეციალური ცოდნის, დანიშვნის და აცილების საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული წესების განსაზღვრაზე.

ზოგადი პრინციპის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ არ მოქმედებს გასაჩივრების საპროცესო წესები. არსებობს გასაჩივრების მხოლოდ ერთი და განსაკუთრებული საშუალება – საჩივრისშეტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით<sup>21</sup>, რომელიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებშია შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არბიტრთა შემადგენლობის დაკომპლექტების წესი და ის, რომ მხარეებს შეუძლიათ თვითონვე შეთანხმონ არბიტრებისათვის სავალდებულო კვალიფიკაცია, მათი პროფესიული და მორალური თვისებებიც კი.<sup>22</sup> მხარეებს შორის შეთანხმება შეიძლება ეხებოდეს არბიტრის კომპეტენციას კონკრეტულ საკითხში, შესაბამის სამუშაო გამოცდილებას, ენის ფლობას და ა.შ. არბიტრის არჩევა გადაწყვეტ როლს თამაშობს საარბიტრაჟო პროცესის წარმატებით ან წარუმატებლად დასრულებაში. აქედან

<sup>17</sup> ჩომახიძე ნ, საჩხელის უზრუნველყოფის დონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013, გვ 83

<sup>18</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 351

<sup>19</sup> De Fina A., Selecting Arbitrators, 3 Corp. & Bus. L.J. 58, 1990, 68

<sup>20</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 85

<sup>21</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 34-35

<sup>22</sup> იქვე, გვ 34

გამომდინარე, საჭიროა იმ კრიტერიუმების დაზუსტება, რომლებიც შეიძლება მისაღებად იქნეს მიჩნეული.<sup>23</sup>

არბიტრაჟების განვითარების პირველივე ეტაპზე არბიტრებად, როგორც წესი, იწვევდნენ პირებს, რომლებიც ხასიათდებოდნენ მაღალი კვალიფიკაციითა და დიდი ავტორიტეტით სამართლისა თუ ეკონომიკის სფეროში, რომელსაც განსახილველი დავა მიეკუთვნებოდა.<sup>24</sup> საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული კრიტერიუმები, რომელსაც არბიტრი უნდა აკმაყოფილებდეს. მაგ: უნდა იყოს თუ არა კონკრეტულად რომელიმე ეროვნების, სქესის ან პროფესიის წარმომადგენელი. თუმცა, კანონის 11.7 მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია ის საფუძვლები, რომელიც პირს არბიტრად ყოფნას უკრძალავს. ესენია: ა. შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ბ. სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე გ. მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არაა ქვს ნასამართლობა. ამ საფუძვლების გარდა სხვა შემთხვევაში, არ შეიძლება პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა.

#### **1.1.2.1. არბიტრის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა**

კანონი ითვალისწინებს არბიტრების იმ უმნიშვნელოვანეს თვისებებს, რომელის გარეშეც შეუძლებელი იქნება საარბიტრაჟო პროცესის ნორმალური წარმართვა. საარბიტრაჟო წესებისა და სახელმწიფო სასამართლის ნორმების თანახმად, არბიტრი უნდა იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. აღნიშნული თვისებები მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო წარმოების და საარბიტრაჟო პროცესის შედეგის კანონიერებისათვის, რადგან არბიტრი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მხარესათვის შესასრულებლად სავალდებულოა და ექვემდებარება მხოლოდ მინიმალურ გადახედვას.<sup>25</sup>

დამოუკიდებლობა წარმოადგენს არბიტრის და მხარის კავშირის შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს, მიუკერძოებლობა კი მოიცავს არბიტრის სუბიექტურ შეხედულებებს საქმისა და მხარეების შესახებ.<sup>26</sup>

არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის ლეგიტიმურობისთვის, არსებითია, რომ არბიტრი იყოს და დარჩეს მხარეებისაგან და მათ შორის არსებული დავისგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. დამოუკიდებლობის საკითხი, ზოგადად, შეეხება არბიტრსა და ერთ-ერთ მხარეს შორის არსებულ ურთიერთობას, იქნება ეს ფინანსური, პროფესიული, პირადი თუ სხვაგვარი ურთიერთობა. შესაბამისად, დამოუკიდებლობის შეფასებისას, არბიტრის განწყობა მხარის ან დავის მიმართ არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ყურადღება ექცევა ფაქტობრივ მოცემულობას.

<sup>23</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 351

<sup>24</sup> იქვე, გვ 34

<sup>25</sup> ნარმანია გ, მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრი-წარსული აწმყო მომავალი, წელიწდეული, 2014 წ., გვ 75

<sup>26</sup> ზამკველავი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ. გვ 97

განსხვავებით დამოუკიდებლობისგან, მიუკერძოებულობა უკავშირდება არბიტრის განწყობას ერთ-ერთი მხარის ან დავის კონკრეტული საკითხის მიმართ. შესაბამისად, მიუკერძოებულობა სუბიექტური და უფრო აბსტრაქტული ცნებაა, ვიდრე დამოუკიდებლობა.<sup>27</sup>

ზემოსხენებული ორი პრინციპის დაცვა ხორციელდება იმპერატიულად. იგი არ უნდა წარმოადგენდეს არბიტრის დამატებით სასურველ თვისებებს, არამედ აუცილებელი უნდა იყოს პირის არბიტრად დანიშვნისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრზე, რომლის მიკერძოების ფაქტი დადასტურებულია.<sup>28</sup>

არბიტრის მიერ მოცემული პრინციპების დარღვევის ფაქტი შესაძლოა გახდეს მისი აცილების ან ასეთი არბიტრის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რომლებზეც ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

„სამართალი არა მარტო უნდა დადგინდეს, არამედ აშკარად და ეჭვგარეშე უნდა ჩანდეს რომ დადგინდა“,<sup>29</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნისათვის არ არის აუცილებელი დამტკიცდეს, რომ არბიტრმა მიკერძოებული გადაწყვეტილება მიიღო. საკმარისია მხარემ დაადასტუროს, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც წარმოშობენ არბიტრის მიკერძოების ეჭვს.<sup>30</sup> აქედან გამომდინარე, ამ ორი ფუნდამენტური პრინციპის დასაცავად დანერგილია უფრო მაღალი სტანდარტი. შესაბამისად, მიკერძოების ეჭვის და ფაქტის არსებობას შესაძლოა მოყვეს ერთნაირი შედეგები, ვინაიდან მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ვალდებულების მიზანს წარმოადგენს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება,<sup>31</sup> რაც მთლიანად საარბიტრაჟო ინსტიტუტის არსებობის საფუძველია.

### **1.1.3. არბიტრ(ებ)ის დანიშვნა მხარეების მიერ**

#### **1.1.3.1. არბიტრ(ებ)ის რაოდენობა**

არბიტრის დანიშვნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა არბიტრაჟში,<sup>32</sup> ვინაიდან სწორად მხარეების მიერ არჩეული პირების მიერ უნდა

<sup>27</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 143

<sup>28</sup> ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა) ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მეორე გამოცემა, 2013 წ., გვ 22

<sup>29</sup> ლორდ ჰეგარტის ცნობილი ფრაზა „justice should not only be done, but should manifestly and undoubtedly be seen to be done.“ გადაწყვეტილებაში საქმეზე R v Sussex Justices; Ex parte McCarthy [1924] 1 KB 256.

<sup>30</sup> ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მეორე გამოცემა, 2013 წ., გვ 23

<sup>31</sup> ნარმანია გ., მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრი-წარსული აწმყო მომავალი, წელიწდეული, 2014 წ., გვ. 75

<sup>32</sup> ოსტერმილერი ს., არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა, წელიწდეული, 2016 წ., გვ 88

მოხდეს საარბიტრაჟო წარმოების წარმართვა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. არბიტრები შეიძლება დაინიშნონ მხარეების, სასამართლოს ან მესამე პირების მიერ.<sup>33</sup>

საერთაშორისო არბიტრაჟი ეფუძნება მხარეთა ავტონომიის ძირითად პრინციპს. საარბიტრაჟო წარმოებაში აღნიშნული პრინციპის როლის და მნიშვნელობა გამოიხატება მხარეთა მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შერჩევის მეთოდის არჩევაში.<sup>34</sup> აქედან გამომდინარე, მხარეებს ენიჭებათ სრული თავისუფლება საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრონ არბიტრების რაოდენობა, მათი და არბიტრაჟი თავმჯდომარის დანიშვნის წესი. მხარეებმა საარბიტრაჟო წარმოების საწყის ეტაპზე უნდა მიიღონ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება არბიტრების არჩევას. არბიტრმა შეიძლება მოახდინოს კანონის არასწორი ინტერპრეტაცია ან დაუშვას აშკარა შეცდომა საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, მაგრამ მხარეს აღარ შეეძლება გააუქმოს გადაწყვეტილება, რომელიც შეცდომით არის გამოტანილი. ამიტომ ეს აიძულებს მხარეებს დიდი სიფრთხილით მოეკიდონ და დაგეგმონ გადაწყვეტილების მიმღები პირების - არბიტრების შერჩევა.<sup>35</sup>

საარბიტრაჟო წარმოების დროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ არ შეიძლება რომელიმე მხარის მიმართ მოხდეს მისი უფლებების შეზღუდვა ან რომელიმე მხარისთვის უფრო მეტი უფლებების მინიჭება. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრის დანიშნის პროცესში მხარეების უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თანაბარი შესაძლებლობით.<sup>36</sup>

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ ერთი ან რამდენიმე არბიტრის დანიშვნა. მხარეებმა უნდა დანიშნონ თანაბარი რაოდენობის არბიტრები. თუ მხარეები შეთანხმდებიან ლუწი რაოდენობის არბიტრების დანიშვნაზე, ასეთ შემთხვევაში, უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშნიდან 10 დღის განმავლობაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი. თუმცადა, არბიტრაჟის არსიდან გამომდინარე შეთანხმების საფუძველზე ხდება საარბიტრაჟო პროცესების წარმართვა, მხარეებს შესაძლოა მასში განსაზღვრული ჰქონდეთ არბიტრების დანიშნის განსხვავებული წესი.

აღსანიშნავია, რომ კანონის 10.4 მუხლის თანახმად, თუ მხარეებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული დავის განმხილველ არბიტრთა რაოდენობა, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.

კანონის 11.5 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო წარმოების დაწყებამდე, მხარეებს და არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, იმ პირს, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად. აღნიშნული პირი ვალდებულია ასეთი ინფორმაცია წარადგინოს წერილობით ფორმით.

<sup>33</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 335

<sup>34</sup> ნარმანია გ., მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრი-წარსული აწმყო მომავალი, წელიწდეული, 2014 წ., გვ72

<sup>35</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 84

<sup>36</sup> ნარმანია გ., მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრი-წარსული აწმყო მომავალი, წელიწდეული, 2014 წ., გვ72

#### **1.1.4. სასამართლოს მიერ არბიტრების დანიშვნა**

##### **1.1.4.1. არბიტრების დანიშვნაში სასამართლოს ჩარევის საფუძველი**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც არბიტრაჟის შესახებ ნაციონალური კანონმდებლობით აუცილებლად წესრიგდება, არბიტრაჟის საქმიანობაში სახელმწიფო სასამართლო ჩარევის სამართლებრივ რეგულირებას გულისხმობს.<sup>37</sup> თუმცა, აღნიშნული სასამართლოს მხრიდან რაიმე სახის ჩარევა დეტალურად არის გაწერილი, რათა არ მოხდეს საარბიტრაჟო წარმოების თვითნებური კონტროლი, რომელიც დააკნინებს არბიტრაჟის ინსტიტუტის როლს ჩვენს ქვეყანაში.

საარბიტრაჟო წარმოების პირობებში, სასამართლოს აკისრია როგორც მაკონტროლებელი, ისე დამხმარე ფუნქცია. შესაბამისად, სწორედ ამ ფუნქციებიდან გამომდინარე სასამართლოს შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს და საჭიროების შემთხვევაში, ჩაერიოს საარბიტრაჟო წარმოებაში. ეს განპირობებული უნდა იყოს აუცილებლობით, რადგან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხავენ სასამართლო იურისდიქციას და უპირატესობას ანიჭებენ სწრაფ საარბიტრაჟო განხილვას<sup>38</sup>.

ამრიგად, სასამართლო იმ შემთხვევაში ერევა ამ პროცესში, როცა გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი ამას პირდაპირ მოითხოვს, მაგალითად, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე, მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო.<sup>39</sup>

შესაძლებელია, მხარეებს შორის არ არსებობდეს შეთანხმება არბიტრების და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე, ანდაც ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც, მათ მიერ განსაზღვრული პროცედურის განხორციელება ვერ ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს არბიტრის დანიშვნის მოთხოვნით. აღნიშნული საკითხის განხილვის უფლებამოსილება შედის იმ საქალაქო (რაიონული) სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება.

ამდენად, თუ მხარეებს შორის არსებობს პირდაპირი ან ირიბი შეთანხმება არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ, სასამართლო ჩაერთვება არბიტრის დანიშვნის პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეების მიერ შეთანხმებული მექანიზმი არ/ვერ მუშაობს.<sup>40</sup>

##### **1.1.4.2. სასამართლოს განსჯადობა**

სასამართლომ აღნიშნული განცხადების განხილვისას ყურადღება უნდა გაამახვილოს რიგ საკითხებზე. პირველ რიგში საყურადღებოა, რომ სასამართლოს არბიტრების

<sup>37</sup> ჯავარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, წელიწდეული, 2013 წ., გვ 196

<sup>38</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 168

<sup>39</sup> იქვე, გვ 175

<sup>40</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 72

დანიშნა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველო. ხოლო კონკრეტული საქალაქო (რაიონული) სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს არბიტრი იმ შემთხვევაში, თუ მის სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა.<sup>41</sup> პრობლემატურია ის საკითხი, თუ რომელი საქალაქო (რაიონული) სასამართლო იქნება კომპეტენტური იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შეთანხმებაში, საარბიტრაჟო განხილვის ადგილად აქვთ მითითებული საქართველო. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა გართულდეს ტრიბუნალის არჩევამდე, ვინაიდან კანონის 25.1. მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო განხილვის ადგილთან დაკავშირებით მხარეების შეთანხმებლობის შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ამას თავად არბიტრაჟი წყვეტს. თუმცა, საარბიტრაჟო დათქმის გაბათილება ან მისი შესრულების შეუძლებლობის აღიარება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მხარეებს არა აქვთ მითითებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოს შიგნით, იქნებოდა უგულებელყოფა მხარეთა ნებისა, დავა გადასცენ არბიტრაჟს და წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონთან, რომლის სულისკვეთებაა ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო დათქმები.<sup>42</sup> საარბიტრაჟო ადგილის განსაზღვრას აქვს ორგვარი დატვირთვა: სამართლებრივი და პრაქტიკულ-გეოგრაფიული.<sup>43</sup> ვინაიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ერთი და იგივე სამართლებრივი სისტემა მოქმედებს, პრაქტიკულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს სად იქნება განსაზღვრული არბიტრაჟი, ნებისმიერმა სასამართლომ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს მხარეთა ინტერესების გათვალისწინება და კვალიფიციური და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნა.<sup>44</sup> ამ შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხარეების შეთანხმებას, რადგან როდესაც მხარეები თავიანთი დავის გადასაწყვეტად ირჩევენ არბიტრაჟს, ამით ისინი გამოხატავენ ნებას, უარი თქვან სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სასამართლო ხელისუფლებაზე და მის ნაცვლად მიმართონ დავის გადაწყვეტის კერძო საშუალებას.<sup>45</sup> აქედან გამომდინარე, არბიტრაჟის ფორმირება უნდა განახორციელოს იმ სასამართლომ, რომელსაც მიმართავს მხარე. საარბიტრაჟო განხილვის ადგილს კი, როგორც აღვნიშნეთ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უკვე შემდგარი ტრიბუნალი შეარჩევს.

შესაძლოა არსებობდეს მეორე პრობლემაც, საარბიტრაჟო შეთანხმებით საერთოდ არ იყოს განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების ადგილი. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ კომპეტენციის დადგენას.

### 1.1.4.3. ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება

საარბიტრაჟო შეთანხმება გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტია საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და მის

<sup>41</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა )

<sup>42</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017 წ., გვ 66

<sup>43</sup> იქვე, გვ 67

<sup>44</sup> იქვე, გვ 67

<sup>45</sup> ტყემალაძე ს., ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მეორე გამოცემა, 2013 წ., გვ 15

აღსრულებამდე.<sup>46</sup> ნიუ-იორკის კონვენციის მიერ დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ნებისმიერი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის.<sup>47</sup> მოცემულ საკითხთან მიმართებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის არსებითად განხილვას. ამრიგად, ვინაიდან კანონის 6.2. მუხლის მიხედვით, დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული, შესაძლოა უფრო მართებული იყოს სასამართლოს მიერ ამ საკითხის ამ ეტაპზე მხოლოდ „ერთი შეხედვით“ შეფასება, და მისი არსებითი განხილვის არბიტრაჟისათვის მინდობა.<sup>48</sup>

#### 1.1.4.4. არბიტრ(ებ)ის დანიშვნის საფუძვლები

უპირველეს ყოვლისა, მხარეებმა უნდა ეცადონ შეთანხმებით განსაზღვრული წესებით განახორციელონ არბიტრების და არბიტრაჟი თავმჯდომარის დანიშვნა. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს უფლება დანიშნოს არბიტრი, თუ მხარე, რომელსაც ამის უფლება აქვს, ამ უფლებით არ ისარგებლებს, ან როცა მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე, როცა დავა ერთმა არბიტრმა უნდა განიხილოს, ან როცა მხარეთა მიერ არჩეული არბიტრები ვერ ირჩევენ მესამე არბიტრს.<sup>49</sup> კანონი სასამართლოს ჩარევამდე, ითვალისწინებს „დამხმარე“ პროცედურის გავლის აუცილებლობას. ამ პროცედურის მიზანია ამოწუროს მხარეთა (არბიტრთა) შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა და მხოლოდ შეთანხმების მიუღწევლობისას გახდეს საჭირო სასამართლოს ჩარევა.<sup>50</sup>

კანონის მე-11 მუხლის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ არბიტრების დანიშვნის საფუძველი შეიძლება გათვალისწინებული იყოს სამ შემთხვევაში, რომლების ითვალისწინებენ შესაბამისი „დამხმარე“ პროცედურების გავლის აუცილებლობა.

1. პირველი შემთხვევა მდგომარეობს იმაში, რომ მხარეების შეთანხმებულები არიან საარბიტრაჟო დავა გადაწყვიტოს სამი არბიტრისგან შემდგარმა ტრიბუნალმა, თუმცა ერთ-ერთი მხარე არ ნიშნავს არბიტრს. სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ რომელიმე მხარე არ ნიშნავს არბიტრს, მაშინ მეორე მხარემ უნდა მიმართოს მას და განუსაზღვროს 30 დღიანი ვადა არბიტრის დანიშვნისათვის. მხოლოდ ამ პროცედურის უშედეგოდ გავლის შემდეგ აქვს

<sup>46</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 150

<sup>47</sup> ანდელუაძე ქ., საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა, თბილისი, 2013 წ., გვ 9

<sup>48</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017 წ., გვ 70

<sup>49</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 169

<sup>50</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017 წ., 72-73

მხარეს უფლება, არბიტრის დანიშვნის მოთხოვნით მიმართოს სასამართლო, რომელიც ვალდებულია მოცემული მოთხოვნის წაყენებიდან 30 დღის განმავლობაში დანიშნოს არბიტრი.

2. მეორე შემთხვევა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მხარეები შეთანხმებული არიან სამი არბიტრის დანიშვნაზე და მხარეების მიერ დანიშნულია ორი არბიტრი, თუმცა ეს არბიტრები არ ნიშნავენ არბიტრაჟის თავმჯდომარეს. მოცემულ პირობებში, არბიტრებს, განესაზღვრებათ 30 დღე არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნისათვის. ვადის ათვლა დაიწყება მათი არბიტრად დანიშვნის დღიდან, ხოლოდ თუ ორი არბიტრი ერთდროულად არ დანიშნულა, მაშინ 30 დღიანი ვადა უნდა აითვალოს ბოლო არბიტრის დანიშვნიდან, რადგან მანამდე არბიტრებს თავისთავად, არ ექნებოდათ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა.<sup>51</sup>

სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაერთოს ამ პროცესში, თუ არ მოხდება ზემოთსხენებულ ვადაში მესამე არბიტრის დანიშვნა. მაშინ, როგორც წინა შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, თვითონ უნდა მოახდინოს მესამე არბიტრის დანიშვნა.

3. მესამე შემთხვევაში, მხარეების მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ საარბიტრაჟო წარმოება უნდა წარმართოს ერთი არბიტრისგან შემდგარმა არბიტრაჟმა, თუმცა ისინი ვერ თანხმდებიან არბიტრის არჩევაზე. არ არის გათვალისწინებული რაიმე კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც მხარეები უნდა ეცადონ კონსესუსის მიღწევას. შესაბამისად, მხარის მიერ მისთვის არბიტრის დანიშვნის მოთხოვნის წაყენებიდან 30 დღის მანძილზე, სასამართლომ უნდა დანიშნოს არბიტრი. რადგან ვალდებულია უზრუნველყოს არბიტრაჟის სწრაფი და ეფექტური ფუნქციონირება.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისას, სასამართლოს ჩართულობა არბიტრაჟის ინსტიტუტისთვის, ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან იგი ვალდებულია უზრუნველყოს არბიტრაჟის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ვინაიდან, გასათვალისწინებელია, რომ იმ ეტაპზე, როდესაც მხარეებს შორის არსებობს დავა და ისინი ვერ თანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე არის ალბათობა, რომ მოპასუხე მხარემ არბიტრის კანდიდატურის შერჩევაში არ მიიღოს მონაწილეობა, ან კანდიდატების მიუღებლობა გამოიყენოს პროცესის გაჭიანურების, ან არბიტრაჟის თავიდან არიდების მექანიზმად.<sup>52</sup>

აღსანიშნავია, რომ კანონის მიერ განსაზღვრული ზემოხსენებული პროცედურები, შედგენილია მოდელური კანონის 11.3. მუხლის მიხედვით და ზუსტად იმეორებს მის შინაარსს. თუმცა, არის განსხვავებაც, კერძოდ, მოდელური კანონის მიხედვით, მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არბიტრი დაინიშნება სასამართლოს ან ამ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ. აღნიშნული მუხლის დანაწესის თანახმად, წინამდებარე მოდელური კანონის მიმღები თითოეული სახელმწიფო თავად

<sup>51</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017 წ. გვ 75

<sup>52</sup> იქვე, გვ 80

განსაზღვრავს სასამართლოს, სასამართლოებს, ან სხვა ორგანოს, რომელსაც ექნება აღნიშნული ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება. შესაბამისად, მოდელურ კანონში არ არის მითითება, რომ ორგანო აუცილებლად სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობის ნაწილი ან მაინცდამაინც სახელმწიფო ორგანო იყოს. არბიტრის დანიშვნის უფლებამოსილება გადაეცემა სხვა ორგანოს თუ სასამართლოს, ეს სახელმწიფოს არჩევანზეა.<sup>53</sup>

#### 1.1.4.5. არბიტრ(ებ)ის კვალიფიკაცია

მხარეებმა შეთანხმებით შეიძლება განსაზღვრონ რაიმე კონკრეტური კრიტერიუმები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს მათ შორის არსებული სამართლებრივი დავის განმხილველ არბიტრს.. მაგ: შესაბამისი კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და ა.შ. ასეთი დროს, არბიტრის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თუმცა, შესაძლებელია, მხარეებს ასეთი არბიტრებთან დაკავშირებით, არანაირი სახის კრიტერიუმი არ ჰქონდეთ განსაზღვრული. ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის გარემოები, რათა დანიშნოს კომპეტენტური და დავისთვის ყველაზე შესაბამისი არბიტრი.<sup>54</sup>

კანონის 11.5. მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეარჩიოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი არბიტრ(ებ)ი, რათა უზრუნველყოს საარბიტრაჟო წარმოების მიმართ მხარეების ნდობა და არბიტრაჟის ეფექტური ფუნქციონირება. სასამართლოს მიერ არბიტრების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სასამართლომ შეამოწმოს, ხომ არ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რაც პირს უკრძალავს არბიტრად ყოფნას.<sup>55</sup>

#### 1.1.4.6. თანხმობა არბიტრად დანიშვნაზე

არბიტრაჟის უდავოდ ყველაზე დიდ უპირატესობას და მიმზიდველ ფაქტორს წარმოადგენს მხარეთა შესაძლებლობა დავის გადაწყვეტის პროცედურა მაქსიმალურად შეუსაბამონ თავიანთ მოთხოვნებსა და ინტერესებს, კანონმდებელი მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას თავად მოაგვარონ დავა თავის მიერ არჩეული არბიტრებისა და მათთვის ხელსაყრელი გარემოებების გათვალისწინებით.<sup>56</sup>

ზემოთ აღინიშნა, რომ მხარეებს შეუძლიათ თვითონ დანიშნონ არბიტრები, თუმცა, დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. ამასთან, არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით.<sup>57</sup> საარბიტრაჟო

<sup>53</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 176

<sup>54</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017 წ., 76-77

<sup>55</sup> იხ. ნაშრომის 1.1.2. თავი, ბოლო აბზაცი

<sup>56</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 62

<sup>57</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 79

წარმოებაში მონაწილეობის თაობაზე ვინმეს იძულება დაუშვებელია, რადგან ამით ირღვევა არბიტრაჟის ძირითადი პრინციპი.<sup>58</sup>

მნიშვნელოვანია, რომ არბიტრმა კონკრეტული საქმის მიმართ ინდივიდუალურად უნდა განაცხადოს თანხმობა ან უარი. შესაბამისად, აუცილებელია არბიტრის დანიშვნამდე არბიტრობაზე პირის თანხმობის მოპოვება.<sup>59</sup>

## 1.2. არბიტრ(ებ)ის აცილება

### 1.2.1. არბიტრ(ებ)ის აცილების საფუძველი

აცილების მექანიზმი საარბიტრაჟო პროცესის მიუკერძოებლად და სამართლიანად წარმართვის წინაპირობაა.<sup>60</sup> არბიტრების აცილებისთვის საჭიროა, კანონის 12.1. მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობა. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ის შემთხვევა, როდესაც არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას. პირის არბიტრად დანიშვნისათვის აუცილებელი კრიტერიუმების შეთანხმებით, მხარეები უზრუნველყოფენ მათ შორის არსებული დავის კვალიფიციური ტრიბუნალის მიერ წარმოებას. შესაძლებელია, კონკრეტული დავა გამოირჩეოდეს სპეციფიკური ნიშნებით, რის გამოც, არბიტრმა, რომელსაც არ ექნება აღნიშნულ სფეროში გამოცდილება და ცოდნა, ვერ შეძლოს სწორად შეაფასოს და გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოება.

სამართლიანი პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია ტრიბუნალის დამოუკიდებლობა და მიკერძოება.<sup>61</sup> საინტერესოა ის საკითხი, რამდენად წარმოადგენს მათი დარღვევა არბიტრთა აცილების საფუძველს.<sup>62</sup>

საარბიტრაჟო განხილვის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია, არბიტრის დანიშვნამდე მხარეებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია ისეთ გარემოებებზე, რომლებმაც შესაძლოა ეჭვი გააჩინოს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში,<sup>63</sup> რაც შემდეგ აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს. კანონის 12.3. მუხლის თანახმად, პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. შესაბამისად, საერთაშორისო სივრცეში და უკვე საქართველოშიც, დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ არბიტრები დანიშვნის მიღებამდე/თანხმობამდე, ან მასთან ერთად, წარუდგენენ მხარეებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დეკლარაციას, სადაც მიუთითებენ ისეთი გარემოებების შესახებ, რომელთაც შესაძლოა

<sup>58</sup> კაჟაშვილი გ., საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელება მესამე პირებზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013 წ., გვ 84

<sup>59</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ, გვ 80

<sup>60</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 177

<sup>61</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 143

<sup>62</sup> აღნიშნული პრინციპების ზოგადი დახასიათება მოცემულია ნაშრომის 1.1.2.1. თავში.

<sup>63</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ, გვ 86

მხარეების თვალში წარმოიშვას ექვი არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე.<sup>64</sup> ამრიგად, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საარბიტრაჟო პროცესის და საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების რისკისგან თავდასაცავად, დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი, კერძოდ, საკმარისია ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისიდან მათ დაღვევასთან დაკავშირებით ექვის არსებობა, რის საფუძველზეც მხარეს შეეძლება მისი აცილების მოთხოვნა.<sup>65</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონი ითვალისწინებს ამგვარ მოწესრიგებას, კერძოდ, 12.2 მუხლის თანახმად, არბიტრის აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც წარმოშობს დასაბუთებულ ექვებს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ან თუ მას არ აქვს მხარეთა მიერ შეთანხმებული კვალიფიკაციები. ამ პუნქტში ასევე გათვალისწინებულია, რომ მხარეს შეუძლია თავისივე არჩეული არბიტრის აცილებს მოითხოვოს, თუ აცილების საფუძველი მისთვის ცნობილი გახდა მისი დანიშვის შემდეგ.

არბიტრების ვალდებულებები მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობის შესახებ, მჭიდროდაა დაკავშირებული გამჟღავნების ვალდებულებასთან.<sup>66</sup> კერძოდ, არბიტრი ვალდებულია მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია და გამჟღავნოს გარკვეული გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს არბიტრსა და მხარეს შორის რაიმე კავშირზე, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ არბიტრი მიკერძოებულია. მეტიც, გამჟღავნების შემთხვევაში იგულისხმება, რომ არბიტრი არ მიიჩნევს თავს მიკერძოებულად.<sup>67</sup> აღნიშნული ვალდებულების შესრულება ხელს უწყობს, მხარეებმა თავად მიანიჭონ გამჟავნებულ ინფორმაციას შესაბამისი მნიშვნელობა და ამის გათვალისწინებით გადაწყვიტონ არბიტრების აცილება/არ აცილების საკითხის დაყენება.

## **1.2.2. სასამართლოს მიერ არბიტრ(ებ)ის აცილება**

### **1.2.2.1. მხარეთა შეთანხმების პირობებში**

ნებისმიერ მუდვიდმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულება ითვალისწინებს ამ მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე შემუშავებულ, არბიტრთა აცილების პროცედურას, მაგრამ მხარეები უფლებამოსილნი არიან ასეთი პროცედურა მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებების საარბიტრაჟო დებულებისაგან განსხვავებულად გაითვალისწინონ.<sup>68</sup> შესაბამისად, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ თავად შეთანხმდნენ აცილების პროცედურაზე.

არბიტრის აცილების პროცესშიც, ისევე როგორც დანიშვნის პროცესში, სასამართლოს გააჩნია დახმარების ფუნქცია. მისი ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო წარმოების

<sup>64</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ. გვ 86

<sup>65</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12.1.

<sup>66</sup> Born G., International Commercial Arbitration, (გამომცემლობა) vol 2, 2009, 1620

<sup>67</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 144

<sup>68</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 63

აღნიშნულ ეტაპზე არის კანონმდებლობით დარეგულირებული. თუ მხარეების მიერ საარბიტრაჟო შეთანხმებაში განსაზღვრულია აცილების პროცედურა, მაშინ არბიტრის აცილება შესაძლებელია მოთხოვილ იქნეს მხოლოდ ამ პროცედურის წარუმატებლობის შემდეგ, ე.ი. მხარემ ჯერ უნდა ცადოს შეთანხმებული პროცედურის განხორციელება და მხოლოდ მისი წარუმატებლობისას (არბიტრის არ აცილების შემთხვევაში) მიმართოს სასამართლოს.<sup>69</sup> შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არბიტრის აცილების პროცესის განხილვის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეებმა ვერ შეძლეს მათ მიერ შეთანხმებული აცილების პროცედურის განხორციელება.

#### 1.2.2.2. მხარეთა შეუთანხმებლობის პირობებში

შესაძლებელია მხარეებმა შეთანხმებით არ განსაზღვონ არბიტრ(ებ)ის აცილების საკითხის მარეგულირებელი ნორმები. ასეთ შემთხვევაში, კანონის 13.2. მუხლი ითვალისწინებს შიდა „დამხმარე“ პროცედურებს, რომელთა უშედეგოდ ამოწურვის შემდეგ ეძლევა მხარეს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, მხარე ვალდებულია წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს არბიტრის აცილების შესახებ, რომელშიც უნდა იყოს მითითებული აცილების საფუძველი და მოტივები. აღნიშნული განცხადების წარდგენას აქვს 15 დღიანი ვადა, რომლის ათვლა იწყება იქედან, როდესაც მხარისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მხარის მიერ არბიტრის აცილების შესახებ განცხადებაზე თანხმობისათვის, მეორე მხარეს განესაზღვრება 30 დღიანი ვადა. ამ ვადის უშედეგოდ გასვლიდან ან არბიტრის, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, თვითაცილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟის მიერ აცილების საკითხის გადაწყვეტა მოხდება 30 დღის განმავლობაში. შესაბამისად, არბიტრის აცილების საკითხი უნდა გადაწყდეს, განცხადების წარდგენიდან 60 დღის ვადაში - 30 დღე განსაზღვრულია არბიტრის თვითაცილებისათვის და მეორე მხარის აღნიშნულ განცხადებაზე დათანხმებისათვის, ხოლო შემდეგი 30 დღე განისაზღვრება არბიტრაჟის მიერ აცილების საკითხის გადაწყვეტისთვის.

მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა შედგებოდეს სამი წევრისგან.<sup>70</sup> მათ შორის არსებულ არბიტრის თაობაზე მხარის მიერ აცილების განცხადების წარდგენას განიხილავს თავად არბიტრაჟი, კერძოდ, მოცემული სამი პირი. შესაბამისად, არბიტრის აცილების პროცესში სამივე არბიტრი მონაწილეობს, მათ შორის არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც დასმულია და გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება.<sup>71</sup>

როგორც აღვნიშნეთ, მხარის მიერ აცილების განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს შესაბამის ვადაში. როდესაც მხარეების ინფორმირებულები არიან მაკვალიფიცირებელი (აცილების შესაძლო საფუძველების) გარემოებების შესახებ და მანინც ნიშნავენ

<sup>69</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 89

<sup>70</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10.4.

<sup>71</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 91

არბიტრებს (ან არ აცხადებენ მის აცილებას), მიიჩნევა, რომ ისინი აცნობიერებენ ამ გარემოებას და მათ მიუხედავად თანახმა არიან არბიტრების დანიშვნაზე.<sup>72</sup> ამ შემთხვევაში, მხარეები კარგავენ აცილების უფლების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, პროცესის ეფექტიანობის, განჭვრეტადობის და სიზუსტის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა თავიანთი უფლებებისა და პრეტენზიების შესახებ განაცხადონ დაუყოვნებლივ და ყველა შემთხვევაში კანონით ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში.<sup>73</sup>

შესაბამისი ვადების არსებობის პრინციპს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან შესაძლებელია მხარემ, რომელმაც იცის აცილების საფუძვლების არსებობის თაობაზე, არ განუცხადოს არბიტრებს აცილება იმ მოტივით, რომ არსებობს ალბათობა, დავა მის სასარგებლოდ გადაწყდეს. ხოლო მას შემდეგ რაც აღმოჩნდება საარბიტრაჟო დავის დამარცხებულ მხარედ, წარმოჭრას არბიტრების აცილების საკითხი. ეს იქნებოდა უფლების ბოროტად გამოყენება და მეტად დამაზიანებელი იქნებოდა მეორე მხარისთვის<sup>74</sup> და საერთოდ არბიტრაჟის ინსტიტუტისთვის. მაშასადამე, თუ მხარემ არ განაცხადა აცილების შესახებ შეთანხმებით ან კანონით დადგენილ ვადაში, მიიჩნევა, რომ იგი თმობს და კარგავს აცილების უფლებას.<sup>75</sup>

### 1.2.2.3. სასამართლოსთვის არბიტრის აცილების საკითხზე მიმართვის ვადა და პროცედურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ აცილება არ მოხდა, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მხარემ, რომელმაც წამოიწყო პროცესი აცილების თაობაზე, გადაიტანოს საკითხი სასამართლოში.<sup>76</sup> რათა თავიდან იქნეს აცილებული საარბიტრაჟო პროცესის გაწელვა და გაჭიანურება.

მნიშვნელოვანია, არბიტრის აცილების პროცესში, სასამართლოს მიერ ზუსტად იყოს გათვალისწინებული კანონის მე-13 მუხლის მე-2<sup>1</sup> და მე-3 მუხლებით განსაზღვრული ვადები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამი არბიტრისგან შემდგარი ტრიბუნალის წევრის მიმართ აცილებას, არბიტრაჟის ეს შემადგენლობა თავად განიხილავს. იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ არბიტრის აცილების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ მას წარმოეშობა უფლება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოს სასამართლოს, არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.<sup>77</sup>

<sup>72</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ, გვ 92

<sup>73</sup> იქვე, გვ 93

<sup>74</sup> იქვე

<sup>75</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ, გვ 94

<sup>76</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 179

<sup>77</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13.2<sup>1</sup>

განსხვავებული მიდგომაა ჩამოყალიბებული ერთი არბიტრისგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, როდესაც მხარე ითხოვს ამ არბიტრის აცილებას. ასეთ დროს, მხარეს ენიჭება უფლება, გვერდი აუაროს კანონით დადგენილ შიდა პროცედურას და პირდაპირ სასამართლოს წინაშე დააყენოს მისი აცილების საკითხი.<sup>78</sup> კანონის 13.3. მუხლის თანახმად, მხარეს აღნიშნულ შემთხვევაში უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს 30 დღის ვადაში, არბიტრის დანიშნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია.

ზემოთხსენებული ორივე შემთხვევის დროს, სასამართლომ არბიტრის აცილების საკითხის უნდა გადაწყვიტოს, სასამართლოში განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

არბიტრის აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე, და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>79</sup> შესაბამისად, არბიტრის აცილების სასამართლო განხილვის პროცესი არ აბრკოლებს საარბიტრაჟო პროცესის გაგრძელებას.<sup>80</sup> ანუ შესაძლებელია, რომ არბიტრი, რომლის აცილების საფუძველიც შეიძლება არსებობდეს, მონაწილეობას იღებდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში.

კანონის 42.2.ა).ა.დ). მუხლის თანახმად, მხარის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო იქნება უფლებამოსილი გააუქმოს ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ან ასეთი არ არსებობის შემთხვევაში - კანონის მოთხოვნებს. არბიტრაჟის შემადგენლობის მიერ კანონის მოთხოვნების არდაკმაყოფილება შეიძლება განვიხილოთ იმ კუთხით, რომ სახეზე გვექნა არბიტრის აცილების საფუძველები, კერძოდ, დამოუკიდებლობის და მიუკერძოებულობის პრინციპის დარღვევა,<sup>81</sup> შესაბამისად, ამ ორი ძირითადი ვალდებულების დაღვევა იქნება საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების ზემოთხსენებული საფუძველი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მხარემ ამ საფუძველით აცილება უნდა მოითხოვოს შესაბამის ვადაში,<sup>82</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ უნდა ჰქონდეს იმავე საფუძველით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა. დანიის უზენაესმა სასამართლომ ერთერთ საქმეში დაადგინა, რომ მხარე, რომელმაც იცოდა, რომ არბიტრი დაკავშირებულ საქმეზე წარმომადგენლად მონაწილეობდა და არ გააპროტესტა მისი დამოუკიდებლობის საკითხი საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში, ვერ მოითხოვდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას

<sup>78</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 92

<sup>79</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14.4.

<sup>80</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 180

<sup>81</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12.1.

<sup>82</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13.2.

ამ საფუძვლით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დასაბუთებული იქნებოდა მისი მოთხოვნა (შედავების უფლების გაქარწყლების პრინციპი).<sup>83</sup>

აქედან გამომდინარე, მოცემული გარემოებების არსებობისას, არბიტრის აცილების საკითხის გადაწყვეტამდე, თუ არბიტრაჟი ისარგებლებს კანონის 13.4. მუხლით განსაზღვრული წესით და გამოიტანს გადაწყვეტილებას, სასამართლოს მიერ არბიტრის აცილების საფუძვლის გაზიარების შემთხვევაში, გამოდის, რომ აცილებული არბიტრის მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გაუქმდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვა და დავის გადაწყვეტა ხელახლა უნდა მოხდეს.<sup>84</sup> მოცემული რეგულაცია, ერთი მხრივ, წინა პლანზე აყენებს დავის გადაწყვეტის სისწრაფეს და შეუფერხებლობას, მისი გაუქმების ალბათობასთან მიმართებაში. თუმცა, შესაძლებელია უარესი შედეგი მოჰყვეს აცილებული არბიტრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას, კერძოდ, ხელახლა განხილვა უფრო გააჭიანურებს პროცესს, ასევე მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ა.შ.,<sup>85</sup> შესაბამისად, მოცემული პრობლემური საკითხებ თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება, რომ საარბიტრაჟო პროცესი შეჩერდეს აცილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

### **1.3. სასამართლოს მიერ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა**

ყველა ეროვნული საარბიტრაჟო რეჟიმი ითვალისწინებს არბიტრების უფლებამოსილების შეწყვეტას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის განსაზღვრულ სტანდარტებს ან რომლებიც ვერ ახერხებენ სათანადოდ ჩატარდეს საარბიტრაჟო განხილვის დროს.<sup>86</sup> მხარის უფლება, დანიშნოს არბიტრი, შეუქცევადია.<sup>87</sup> შესაბამისად, კანონის 14.1. მუხლის თანახმად, მხარეს არ აქვს უფლება ერთპიროვნულად შეუწყვიტოს უფლებამოსილებათავის მიერ დანიშნულ არბიტრს და შეცვალოს იგი სხვა არბიტრით. ამასთან დაკავშირებით მხარეები უნდა შეთანხმდნენ, ან თავად არბიტრმა განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტა - თვითაცილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არბიტრაჟს არ გააჩნია სხვა „შიდა“ პროცედურა ამ საკითხთან დაკავშირებით.

შესაბამისად, სასამართლოს ჩარევა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხში შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც მოცემული საკითხის თაობაზე ვერ თანხმდებიან მხარეები და არც თავად არბიტრი წყვეტს საკუთარ უფლებამოსილებას. ამრიგად, კანონის 14.2. მუხლის საფუძველზე, საარბიტრაჟო პროცესის მსვლელობისას, იმ შემთხვევაში, თუ არც არბიტრი წყვეტს უფლებამოსილებას და ვერც მხარეები თანხმდებიან არბიტრის

<sup>83</sup> დანიის უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე JKM Transport ApS v. Danish Crown, UNCITRAL Digest 2012, გვ. 102, 155

<sup>84</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 180

<sup>85</sup> იქვე

<sup>86</sup> Born G., International commercial arbitration, vol 2, 2009, 1642

<sup>87</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 68

უფლებამოსილების შეწყვეტაზე, მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს<sup>88</sup> და წაუყენოს მოთხოვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ზემოთხსენებული მოთხოვნის საფუძველზე, მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე ფაქტორს : აუცილებელია განცხადების კომპეტენტურ სასამართლოში შეტანა, მხარეთა შეუთანხმებლობიდან სასამართლოს მიმართვამდე დაცულია თუ არა 30 დღიანი ვადა და არსებობს თუ არა უფლებამოსილის შეწყვეტის საფუძველი.

### 1.3.1. კომპეტენტური სასამართლო

პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად კომპეტენტურ სასამართლოშია შეტანილი განცხადება მხარის განცხადება. მოდელური კანონის მსგავსად, ისევე როგორც არბიტრის დანიშვნასა და აცილებასთან დაკავშირებული საქმეებისა, სასამართლო კომპეტენტურია, თუ აღნიშნული საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა. ხოლო არბიტრი უფლებამოსილების შეწყვეტის საქმესაც განიხილავს ის საქალაქო (რაიონული) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხორციელდება საარბიტრაჟო წარმოება.<sup>89</sup>

### 1.3.2. სასამართლოსთვის მიმართვის ვადა

მნიშვნელოვანია განისაზღვროს დაცულია თუ არა მოცემულ საკითხზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა. კანონის 14.2. მუხლის თანახმად, არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველების არსებობის შემთხვევებში, მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობისას, ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. განსაზღვრული ვადის გასვლა, მხარეს ართმევს უფლებას მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, თუ როდის უნდა დაიწყოს აღნიშნული 30 დღიანი ვადის დენა : მხარის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არბიტრაჟისთვის მიმართვიდან, თუ არბიტრაჟის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანიდან. უპირანი იქნება ეს ნორმა იმგვარად განიმარტოს, რომ ამ ვადის ათვლა დაიწყოს, არბიტრაჟის მიერ შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარებიდან<sup>90</sup>, ვინაიდან არბიტრაჟის მიერ ამ საკითხის განხილვის გაჭიანურების პირობებში, მხარეს ჰქონდეს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ ვადის დაწესებით საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ემიჯნება მოდელურ კანონს, ისევე როგორც ქვეყანათა უმეტესობის კანონმდებლობებს, რომლებიც არ ზღუდავენ ამ უფლებას რაიმე ვადით.<sup>91</sup>

ამავე, 14.2. მუხლითაა განსაზღვრული, თავად სასამართლოსაც აქვს განსაზღვრული ვადა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისთვის. კერძოდ, მან მხარის განცხადების

<sup>88</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 112

<sup>89</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.1.ა)

<sup>90</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 115

<sup>91</sup> იქვე

წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში, უნდა გადაწყვიტოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ეს გადაწყვეტილება საბოლოო და მისი გასაჩივრება შეუძლებელია.

### **1.3.3. არბიტრების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები**

არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს მის მიერ ნაკისრი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა ან სხვა რაიმე მიზეზით მისი უმოქმედობა. მოხსენიებული შეწყვეტის საფუძვლები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: სამართლებრივი საფუძვლის არბიტრობის შეუძლებლობა, ფაქტობრივი შეუძლებლობა და უმოქმედობა.<sup>92</sup>

1. სამართლებრივი საფუძვლით არბიტრობის შეუძლებლობა - იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს ეკრძალება არბიტრობა. (იხ. 1.1.2. ქვეთავის ბოლო აბზაცი)
2. ფაქტობრივი შეუძლებლობა - იგულისხმება ისეთი გარემოებების და პირობების დადგომა, როდესაც არბიტრს ფაქტობრივად არ აქვს შესაძლებლობა შესასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. მაგ: თავისუფლების აღკვეთა, გარდაცვალება, სხვა ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდით წასვლა და ა.შ.
3. უმოქმედობა - შესაძლოა არბიტრმა უფლებამოსილების შესრულება შეაფერხოს, თუმცა, იმისათვის რომ არბიტრის უფლებამოსილება შეწყდეს მისი უმოქმედობის საფუძვლით, აუცილებელია არბიტრი განგრძობადად, ან განმეორებით არ ასრულებდეს მის მოვალეობებს.<sup>93</sup>

მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველში, არ უნდა მოვიანოთ არბიტრის აცილება, რადგან ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მათი გამოყენების საფუძვლების, ისე პროცედურის მხრივ.<sup>94</sup>

## **2. სასამართლოს როლი სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას**

### **2.1. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება**

#### **2.1.1. სარჩელის უზრუნველყოფის არსი**

საარბიტრაჟო შეთანხმების დადება და დავის არბიტრაჟისთვის გადაცემა სულაც არ ნიშნავს, რომ დავის მონაწილე მხარე კეთილსინდისიერად მოიქცევა. პირიქით, საარბიტრაჟო წარმოების დაწყებისთანავე არსებობს რეალური საფრთხე - საარბიტრაჟო მოპასუხემ, რომლისათვისაც იმთავითვე ცნობილია, რომ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის საწინააღმდეგოდ იქნეს გამოტანილი, შესაძლებელია, არაკეთილსინდისიერი გზებით ხელი შეუშალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

<sup>92</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 115

<sup>93</sup> იქვე, გვ 117

<sup>94</sup> “არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12-14

აღსრულებას.<sup>95</sup> ის შეეცდება გააჭიანუროს პროცესი, ხელი შეუშალოს მეორე მხარეს მტკიცებულების მოპოვებაში და ა.შ. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე საჭიროებს გარკვეულ დახმარებას არბიტრაჟისგან, რათა იგი გაუმკლავდეს მეორე მხარის მიერ შექმნილ წინააღმდეგობებს.<sup>96</sup> სწორედ ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილების საშუალებად გვევლინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ინსტიტუტი. საარბიტრაჟო პროცესში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ისევე აქტუალურია, როგორც საერთო სასამართლოთა სისტემაში საქმის განხილვის დროს.<sup>97</sup>

საარბიტრაჟო წარმოების დროს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგიერთ სიტუაციაში მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე მხარის მიერ, ან შესაძლოა ერთ მხარეს დასჭირდეს, რომ მეორე მხარემ შეწყვიტოს გარკვეული ქმედებების განხორციელება დაუყოვნებლივ. ასევე შესაძლოა აქტივებს სჭირდებოდეს დაცვა.<sup>98</sup> მოცემული ინსტიტუტი, მოსარჩელეს აძლევს შესაძლებლობას, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში, თავიდან აიცილოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი დაბრკოლება და თავი დაიცვას მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან.<sup>99</sup>

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, რომელიც არ ითვალისწინებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით,<sup>100</sup> მოქმედი კანონი ძირითადად იზიარებს მოდელური კანონის რეგულირების მეთოდებს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ინსტიტუტის მოწესრიგებას.

### **2.1.2. მხარის მიერ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით, სასამართლოსთვის მიმართვა**

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს მიერ ეფექტიანი ბერკეტია ნებისმიერი საარბიტრაჟო განხილვისას.<sup>101</sup> კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით, მხარეს შეუძლია მიმართოს უშუალოდ სასამართლოს. სასამართლოსათვის უზრუნველყოფის ზომების მიღების მოთხოვნით მიმართვა არ

<sup>95</sup> Born G., International commercial arbitration, vol 2, 2009, 1943  
<sup>96</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 79-80  
<sup>97</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 77  
<sup>98</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 194  
<sup>99</sup> მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული, 2015 წ., გვ 91  
<sup>100</sup> იქვე, გვ 92  
<sup>101</sup> გუამკველი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 42

ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას და არ გულისხმობს, რომ დავა არსებითადაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.<sup>102</sup>

კანონის 23.2. მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

მხარის მიერ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით, სასამართლოსთვის წარდგენილი განცხადების განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს შემდეგი გარემოებები :

#### **2.1.2.1. განსჯადი სასამართლო**

საქართველოს სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა.<sup>103</sup> ამრიგად, საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ/ჯერ არდაწყებულ დავასთან დაკავშირებით. ამრიგად, საქართველოს სასამართლო წარმოადგენს განსჯად ორგანოს, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები აღსასრულებელია საქართველოში, ან საქართველოს სასამართლოებს (მხოლოდ სააპელაციო სასამართლოებს) აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.<sup>104</sup>

#### **2.1.2.2. სასამართლოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი მხარე**

კანონის 23.1. მუხლის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებული შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული განსხვავებული წესი, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში, ამ ღონისძიებების გამოყენების თაობაზე მიმართვას ახორციელებს მოსარჩელე მხარე, ვინაიდან დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე არაკეთილსინდისიერად მოიქცევა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელე ვერ მიიღებს ქმედით შედეგს. რა იგულისხმება მოცემულ შემთხვევაში ტერმინში „მხარე“, დაკონკრეტებული არაა არც ჩვენი და არბიტრაჟის ინსტიტუტის მომწესრიგებელი საერთაშორისო კანონმდებლობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191.1. მუხლით პირდაპირ ითვალისწინებს, რომ სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიმართვა შეუძლია მხოლოდ მოსარჩელეს. შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის მიმდინარეობისას, ძირითად შემთხვევაში, მოსარჩელის

<sup>102</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ, გვ 562

<sup>103</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 23.3

<sup>104</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ, გვ 44, (საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს ადგენს ამავე კანონის მუხლები 8-10)

ინტერესები და უფლებები საჭიროებს უზრუნველყოფას, რათა არ დარჩეს აღუსრულებელი.<sup>105</sup>

მოცემულ ტერმინთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია, თუ როდის ენიჭება პირს „მხარის“ სტატუსი, ვინაიდან პირს სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების შეტანა შეუძლია, როგორც დავის მიმდინარეობისას, ისევე მის განხილვამდე. შესაბამისად, მას შეიძლება ჯერ არ ჰქონდეს მხარის სტატუსი. სსკ-ს 192.2. მუხლი აღნიშნულ პირს მოიხსენიებს როგორც „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტან პირს“. ამასთან, სსკ-ის 356<sup>14</sup> მუხლის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნებისთვის, მხარე არის საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. ამრიგად, კანონში დარჩენილი ტერმინი „მხარე“ ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცავდეს არა მხოლოდ პროცესში მონაწილე პირს, არამედ საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილესაც, რომელსაც ჯერ არ აქვს მხარის სტატუსი და საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.<sup>106</sup>

### 2.1.2.3. განცხადების სასამართლოში წარდგენის ვადა

როგორც აღვნიშნეთ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებები, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით,<sup>107</sup> შესაბამისად, მასზე გავრცელდება სსკ 192-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაც, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია სარჩელის აღძვრამდეც. აღსანიშნავია, რომ მხარეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არბიტრაჟსაც შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე. მნიშვნელოვანია, როგორც გადაწყდება მოცემული საკითხი იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟი ჯერ კიდევ არ იქნება შემდგარი. შესაბამისად, ტრიბუნალის შექმნამდე სასამართლო ერთერთი (შესაძლოა ერთადერთიც) ორგანოა, რომელსაც შეიძლება მხარემ მიმართოს.<sup>108</sup> მეორე ასეთი საშუალება არის ე.წ. საგანგებო არბიტრი.<sup>109</sup> მისი დანიშნულებაა, ძირითადი ტრიბუნალის ფორმირებამდე მხარეებს მისცეს საშუალება, რომ გადაუდებელ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხი სწრაფად გადაწყვიტოს სპეციალურად დანიშნულმა ერთმა არბიტრმა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი არ არის ცალსახა და მარტივი, დავის დაწყებამდე სასამართლოსთვის მიმართვა ყველაზე ეფექტიან საშუალებად რჩება მხარისათვის,<sup>110</sup>

<sup>105</sup> მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ

კანონმდებლობაში, წელიწდეული, 2015 წ., გვ 93

<sup>106</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 44

<sup>107</sup> „არბიტრაჟის შესახებ: საქართველოს კანონი, მუხლი 23.2.

<sup>108</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 45

<sup>109</sup> არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, №65 – „საგანგებო არბიტრი“, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016წ. გვ. 27

<sup>110</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 46

სსსკ-ს 192-ე მუხლი, ითვალისწინებს ამგვარ მოწესრიგებს, რომ პირმა, სარჩელის აღმვრამდე მიმართოს სასამართლოს და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, მოითხოვოს მის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. თუმცა, ამგვარი შუამდგომლობის შეტანის შემდეგ, მხარეს ეკისრება ვალდებულება 10 დღის ვადაში შეიტანოს სარჩელი აღნიშნულ სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადის გასვლის საფუძველით, შესაძლოა გაუქმდეს სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება. იგივე წესი შეგვიძლია გამოვიყენოთ, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა საკითხავია, როგორ მოხდება სასამართლო ინფორმირება იმის შესახებ, შეიტანა თუ არა პირმა საარბიტრაჟო სარჩელი არბიტრაჟში, იმ პირობებში, როდესაც ეს ორი ინსტიტუტი სრულიად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ამ ვითარებიდან პრაქტიკული გამოსავალი იპოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და საარბიტრაჟო სარჩელის აღმვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შესახებ განჩინებით დაავალდებულა მხარე, 10 დღის ვადაში წარმოედგინა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი. შესაბამისად, ასეთი სარჩელის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, სასამართლო თავისი ინიციატივითაც გააუქმებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.<sup>111</sup>

#### 2.1.2.4. განცხადების წარმოებაში მიღების წინაპირობები

მხარის განცხადება, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ს 191-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელებს აღსრულებას უზრუნველყოფის ღონისძიების

<sup>111</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ. 46. (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/ზ-1277).

გამოყენების გარეშე.<sup>112</sup> მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.<sup>113</sup> ამრიგად, განცხადებაში დასაბუთებული და სასამართლოსათვის თვალსაჩინო უნდა იყოს ისეთი შესაძლებლობის არსებობა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, სასამართლოში აღნიშნული დავის განხილვა სრულიად დაკარგავს აზრს, ვინაიდან იარსებებს ალბათობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება და, შესაბამისად, ზიანი მიადგება მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში.<sup>114</sup>

ასევე საყურადღებოა, რომ უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არაკონპენსირებადი ზიანი. ამრიგად, მხარემ უნდა წარადგინოს დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებები მტკიცებულებები, რითაც დაამტკიცებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოუყენებლობის შემთხვევაში, მას იმგვარი ზიანი მიადგება რისი კომპენსაციაც, ვერ მოხდება ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ,<sup>115</sup> მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შემთხვევაშიც. ამასთან, მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უნდა დაადასტუროს მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატურობა სასარჩელო მოთხოვნასთან.<sup>116</sup>

ამასთან, სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და შესაბამისად, შეარჩიოს უზრუნველყოფის ღონისძიების ესა თუ ის სახე, თუ სასამართლო მიხედულობით სარჩელს სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების პრეტენზია გააჩნია.<sup>117</sup>

#### 2.1.2.5. განცხადების განხილვა

სსსკ-ს 356<sup>18</sup>.1. მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გამოსცეს საარბიტრაჟოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, თუკი არსებობს მხარეთა

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), თბილისი, 2013 წ., გვ 3

<sup>113</sup> იქვე

<sup>114</sup> იქვე, გვ 4

<sup>115</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 88

<sup>116</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), თბილისი, 2013 წ., გვ 4

<sup>117</sup> იქვე

შორის ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება,<sup>118</sup> რომლის შემდეგაც უნდა შემოწმდეს სახეზე გვაქვს თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოცემის წინაპირობები.<sup>119</sup>

## **2.2. არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულება**

### **2.2.1. არბიტრაჟის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვა**

უზრუნველყოფის ღონისძიებები ისეთი დროებითი ზომებია, რომელთა მიზანია, ძირითადი გადაწყვეტილების გამოტანამდე არ მისცეს მოპასუხე მხარეს თავისი უპირატესი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უფლება და შექმნას ან შეინარჩუნოს იმგვარი მდგომარეობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას გააჩნდეს მნიშვნელობა განმცხადებელი მხარისათვის.<sup>120</sup> ვინაიდან, თუკი მოპასუხე მაგალითად, საქმესთან დაკავშირებულ გადამწყვეტ მტკიცებულებებს გაანადგურებს, ან მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე გაასხვისებს დავის საგანს, რომელიც საქმის განხილვის გადაწყვეტის შემდეგ უნდა მიქცეულიყო აღსასრულებლად, ასეთ შემთხვევაში, მეორე მხარე ჩავარდება გამოუვალ მდგომარეობაში, რადგან შეუძლებელი გახდება მისი მხრიდან გარემოებების დამტკიცება, ან თუნდაც საარბიტრაჟო პროცესის მის სასარგებლოს დასრულების შემდეგ, ვერ მოხდება აღსრულება. აღნიშნული პროცესები კი აზრს დაუკარგავდა მთლიანად მოცემულ საარბიტრაჟო განხილვას. ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება მიზნად ისახავს, მხარეების უფლებებისა და ინტერესების სწორად წარმართვასა და დაცვას.

### **2.2.2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წინაპირობები**

საქართველოში მოქმედი არბიტრაჟები აღიარებენ უზრუნველყოფის იმ სახეებს, რაც კანონითაა გათვალისწინებული. ამასთან ერთად, არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც არბიტრაჟს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს ის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.<sup>121</sup> ნებისმიერი საარბიტრაჟო რეგლამენტი, რომელიც ახდენს სახეების ჩამოთვლას ან ზოგად კლასიფიკაციას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, შეიცავს დათქმას, რომ არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს ის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებული არ არის, თუმცა, ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზნის მისაღწევად გამოსადეგად მიიჩნევა.<sup>122</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობისთვის უცხო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სარისკოა, ვინაიდან მის ცნობა-

<sup>118</sup> იხ. ნაშრომის 1.1.4.3. ქვეთავი

<sup>119</sup> იხ. ნაშრომის 2.1.2.4. ქვეთავი

<sup>120</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 80

<sup>121</sup> მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული, 2016 წ., გვ 94

<sup>122</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 82

აღსრულებას სასამართლოს მიერ შეიძლება ეთქვას უარი. ამის გარეშე კი რეალურად ვერ მოხდება უზრუნველყოფის განხორციელება.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების<sup>123</sup> გამოყენება შესაძლებელია შესაბამისი გარემოებების არსებობისას, რომლებსაც ითვალისწინებს აღნიშნული კანონის მე-18 მუხლი. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობის მსგავსად,<sup>124</sup> ასეთ პირობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით. ასევე თუ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში.

მორიგი წინაპირობა გვაქვს სახეზე, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. იმ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე შუამდგომლობა შეტანილია საქმის განხილვამდე ან მის ეტაპზე, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტება დავა. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საფუძვლიანი ვარაუდი, რის გამოც განსაზღვრულია, რომ ამ ბარიერის გადალახვა მხარის მიმართ, არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებაზე.<sup>125</sup>

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, მხარემ, რომელიც ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, დაასაბუთოს და ამტკიცოს ასეთი გარემოებების არსებობა. მხარემ უნდა აჩვენოს „დამაჯერებლობა, რომ ზიანი ადეკვატურად ვერ გამოსწორდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ზარალის ანაზღაურებაზე, თუ არ იქნება მიცემული სამართლებრივი დაცვის საშუალება და რომ ზიანი „მნიშვნელოვნად გადაჭონის“ ზიანს მოწინააღმდეგე მხარისადმი. ამასთანავე, უნდა იყოს „მიზანშეწონილი შესაძლებლობა“, რომ განმცხადებელი მხარე წარმატებული იქნება საჩივრის არსთან დაკავშირებით.<sup>126</sup>

მნიშვნელოვანია, რომ თუ მოხდა იმ გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის საფუძველზეც მხარემ იშუამდგომლა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით მოთხოვნით, ან არბიტრაჟმა ასეთი ღონისძიება უკვე გაატარა,

<sup>123</sup> „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.2

<sup>124</sup> იხ. ნაშრომის 2.1.2.4 ქვეთავი

<sup>125</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 88

<sup>126</sup> ოსტერმილერი ს., არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა, წელიწდეული, 2016 წ., გვ 93

მაშინ არბიტრაჟს ექნება უფლებამოსილება მხარეებს მოსთხოვოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება.

### 2.2.2.1. გარანტია, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობა

შესაძლებელია, რომ ერთი მხარის სასარგებლოდ განსაზღვრული უზრუნველყოფის საშუალებით, მეორე მხარეს მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი, ანუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამო მან ვერ შეძლოს რაიმე უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით კი არ დაკმაყოფილდეს საარბიტრაჟო სარჩელი, ანუ საბოლოო ჯამში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლებელია უშედეგო აღმოჩნდეს საარბიტრაჟო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის გამო.<sup>127</sup>

სწორედ აღნიშნული გარემოების თავიდან ასაცილებლად და მოწინააღმდეგე მხარის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, კანონის 18.3. მუხლი ითვალისწინებს, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელის შუამდგომლობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

სწორედ, ამ წარმოდგენილი გარანტიიდან დაკმაყოფილდება დაზარალებული მხარის შელახული ინტერესები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.<sup>128</sup> შესაბამისად, მაშინ როდესაც არბიტრაჟს ევალუა უზრუნველყოფის ღონისძიებათა ეფექტურობისა და გამოსადეგარობის შეფასება, განმცხადებლის მიერ წარდგენილ საგარანტიო თანხას შეუძლია ერთგვარი რისკის მარეგულირებელი მექანიზმი შექმნას, არასწორად დაშვებული ღონისძიებისგან მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.<sup>129</sup>

გარანტიის შესახებ,ეს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა,<sup>130</sup> ვინაიდან თუ მოხდება სასამართლოს მიერ მისი ცნობა-აღსრულება, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მხარეს მოეთხოვოს წარმოადგინოს უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის შესრულების ფაქტი.

შესაბამისად, არბიტრაჟს შეუძლია მხარის მიერ მოთხოვნის საფუძველზე გაცხადებული იმ ზომების მიღება, რომლის გამოყენებასაც ის საჭიროდ მიიჩნევს. გარდა ამისა, არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს მხარეს ასეთ ზომებთან დაკავშირებით სათანადო უზრუნველყოფის წარდგენა. არბიტრაჟთან ერთად კანონი უზრუნველყოფის ზომების მიღების უფლებას ანიჭებს სასამართლოს თუ მხარე ამას მოითხოვს.<sup>131</sup> საარბიტრაჟო განხილვისას ან მანამდე მხარის მიერ უზრუნველყოფის ზომების მიღების

<sup>127</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 101

<sup>128</sup> იქვე

<sup>129</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ, გვ 88

<sup>130</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ, 57

<sup>131</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ, გვ 559

მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ ასეთი ზომების მიღება არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან.<sup>132</sup>

კანონის 18.4. მუხლი განსაზღვრავს რომ მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ასევე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ნებისმიერი ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეული იქნება მისი მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მოცემული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება მხარის მიმართ, არბიტრაჟს შეუძლია საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

### **2.2.3. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც სასამართლოს კონტროლის მექანიზმი საარბიტრაჟო წარმოებაში**

არბიტრაჟის მეშვეობით დავების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, თავიანთი შეხედულებისამებრ, თავიანთივე წესების მეშვეობითა და საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, გვერდი აუარონ დამკვიდრებულ სტანდარტულ საპროცესო სისტემას.<sup>133</sup> მას გააჩნია უფლებამოსილება, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა განიხილოს ყოველგვარი სახელმწიფო ინსტიტუტისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ჩარევის საშიშროება უარყოფით როლს ითამაშებდა კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვაზე, იზარალებდა არბიტრაჟის ეფექტურობა და მისდამი ნდობის ფაქტორი.<sup>134</sup>

თუმცადა, როგორც აღვნიშნეთ, სასამართლომ შესაძლოა განახორციელოს სხვადასხვა ფუნქციები საარბიტრაჟო წარმოების დროს. ის შესაძლოა იყოს კონტროლის მექანიზმი და ასევე შეითავსოს დახმარების ფუნქცია.<sup>135</sup> შესაბამისად, სასამართლო შესაძლოა გამოიყენოს მაკონტროლებელი ფუნქცია უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დანაწევრებით, რომელიც მეტად ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს საარბიტრაჟო პროცესის დასრულებამდე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებისთვის.<sup>136</sup>

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მართებული გამოყენება არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმის, ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.<sup>137</sup> სწორედ ამ მიზნით, სასამართლოს შესაძლებლობა ენიჭება განახორციელოს კონტროლი, არბიტრაჟის მიერ გამოტანილ განჩინებას, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

<sup>132</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 560

<sup>133</sup> ანდლულაძე ქ., საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა, თბილისი, 2013 წ., გვ 4

<sup>134</sup> გოთუა ლ., მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ., გვ 143

<sup>135</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 168

<sup>136</sup> გოთუა ლ., მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ., გვ 143

<sup>137</sup> მაჩაიძე თ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული, 2016 წ., გვ 103

#### **2.2.4. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვა**

იურიდიულ ლიტერატურაში, ცნობისა და აღსრულების ტერმინების არსი განმარტებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნული ცნებები შეგვიძლია გამოვიყენოთ არბიტრაჟის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოტანილ განჩინებასთან მიმართებითაც.

ცნობა განიმარტება, როგორც სასამართლოს დასტური, რომ ეს გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულო მხარეებისათვის. ის განიხილება, როგორც აღსრულების სამართლებრივი წინაპირობა<sup>138</sup>. კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგი კი მხარეებისათვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს.<sup>139</sup>

კანონის 21.1. მუხლის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, მხარემ, მას შემდეგ, რაც არბიტრაჟმა დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოყენებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა და მათი აღსრულება,<sup>140</sup>

##### **2.2.4.1. განსჯადი სასამართლო**

კანონის 2.1.ა). მუხლის თანახმად, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები არიან კომპეტენტური, განიხილონ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების საკითხი. ქვეყნის შიგნით კი, ტერიტორიული განსჯადობიდან გამომდინარე, ის სასამართლო განიხილავს დავას, რომლის მოქმედების ფარგლებშიც მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება.

არბიტრაჟის ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, კანონის 22.3. მუხლის გათვალისწინებით, სასამართლოს ეკრძალება სარჩელს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შინაარსობრივად შესწავლა. იგი არ ამოწმებს უზრუნველყოფის მიზანშეწონილობას და განიხილავს მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრული საფუძვლების არსებობა/არარსებობას.<sup>141</sup> შესაბამისად, სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

<sup>138</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 654

<sup>139</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 142

<sup>140</sup> იქვე, გვ 101

<sup>141</sup> გუამკველი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 55

#### 2.2.4.2. თანდართული დოკუმენტაცია

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების და საბოლოო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების სასამართლოს წინაშე წარდგენის კუთხით, განსაზღვრულია იდენტური წესები, რომელსაც ითვალისწინებს კანონის 44.2. მუხლი.<sup>142</sup> კერძოდ, მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი (საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებებისათვის) ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

#### 2.2.4.3. განცხადების განხილვის ვადები და პროცედურა

სსსკ-ს 356<sup>17</sup>.4. მუხლის მიხედვით, სასამართლომ, მხარის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე, განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღის განმავლობაში უნდა გამოიტანოს განჩინება მოცემული ღონისძიების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება. კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული რაიმე ვადა, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარეს შეეძლება წარმოადგინოს განცხადება, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლის მისათითებლად. შესაბამისად, აღნიშნული ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განსაზღვროს. მთავარია, მხარეს მიეცეს პრაქტიკული შესაძლებლობა, დასაბუთებულად მოითხოვოს ცნობა-აღსრულებაზე უარი.<sup>143</sup>

კანონის 21.2. მუხლის თანახმად, მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.

#### 2.2.5. ცნობა-აღსრულება უარის თქმის საფუძვლები

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს, სარჩელის უზრუნველყოფის ცნობისა და აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, არ შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების ან/და უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანშეწონილობის განხილვა და

<sup>142</sup> სსსკ-ს 356<sup>17</sup>.2.

<sup>143</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 54-55

შეფასება.<sup>144</sup> თუმცა მას აქვს ვალდებულება შესამოწმოს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, მოდელური კანონის მსგავსად, ორ ნაწილად იყოფა: საფუძვლები, რომლებიც უნდა ამტკიცოს მოპასუხემ და რომელთა განხილვაც სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით.<sup>145</sup> საარბიტრაჟო წარმოებაში, მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი იმ გარემოებების და საფუძვლების თაობაზე, რომელიც სწორედ ამ მხარემ მიუთითა. სასამართლოს არ გააჩნია აღნიშნული საფუძვლების საკუთარი სურვილით შემოწმება. იგი შეზღუდულია კანონმდებლობის გათვალისწინებული კონკრეტული შემთხვევებით. შესაბამისად, ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლო ვალდებულია, რომ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეატყობინოს ამის შესახებ და მისცეს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების წარმოდგენის შესაძლებლობა.<sup>146</sup>

პირველ რიგში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძვლები ეფუძნება ამ კანონის 45.1. მუხლით გათვალისწინებულ, საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებულ გარემოებებს, რომლებიც განხილულია გაუქმებასთან მიმართებით 4.2.1. ქვეთავში.

კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრულ შემდეგ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მხარეს შეიძლება უარი ეთქვას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ ის მხარე, რომლის წინააღმდეგაცაა ეს ღონისძიება მიმართული, მიმართავს სასამართლოს და დაამტკიცებს რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული. როგორ აღვნიშნეთ, უზრუნველყოფის გარანტიის შესრულება წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მხარის მიერ ასეთი გარანტიის შესრულების წარმოუდგენლობა, შესაძლებელია იყოს უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე უარი ასევე ეფუძნება მხარის მტკიცებას, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები.

<sup>144</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ. 55

<sup>145</sup> იქვე

<sup>146</sup> იქვე, გვ 56

სასამართლოს ინიციატივით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია, თუკი იგი მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმის იმ ფარგლებში შეცვლის შესახებ, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულებისათვის.

### 3. მტკიცებულების განხილვის ეტაპი

#### 3.1. არბიტრაჟის მიერ მტკიცებულებათა განხილვის უფლებამოსილება

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი აღიარებულია დავის უფრო სწრაფად გადაწყვეტის მექანიზმად, ვიდრე სასამართლო, საარბიტრაჟო განხილვა მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს, რაც აუცილებელია საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გამოკვლევისა და, საჭიროების შემთხვევაში, მოწმეთა დაკითხვისათვის.<sup>147</sup>

მტკიცებულებების წარდგენა, მათი გამოკვლევა და შეფასება საარბიტრაჟო განხილვის უმნიშვნელოვანესი სტადიაა,<sup>148</sup> რადგან საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, სწორედ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის საბოლოო და მბოჭავი ხასიათი, არბიტრაჟის – როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების – ერთ-ერთი უპირატესობაა.<sup>149</sup>

როგორც აღვნიშნეთ, მხარეები საარბიტრაჟო სარჩელში და შესაგებლში წარმოდგენენ ისეთ მტკიცებულებებს, რომელთა მეშვეობითაც ამყარებენ თავიანთი მოთხოვნებს. არბიტრაჟმა ასეთი მტკიცებულებები უნდა მიიღოს და მოახდინოს მათი დასაშვებობის შემოწმება. ამდენად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მტკიცებულებათა დასაშვებობა განისაზღვრება მხარეთა მიერ შეთანხმებული არბიტრაჟის დებულების შესაბამისად.<sup>150</sup>

მტკიცებულებათა შეფასება და ამ შეფასებაზე დაყრდნობით საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის ყველაზე საპასუხისმგებლო სტადიაა. საქმის გარემოებების გამოკვლევისა და დაზუსტებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზეპირ განხილვას<sup>151</sup>, რადგანაც მხარეებმა გააკეთონ განმატებები მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ და შეძლონ საკუთარი პოზიციის დაცვა.

<sup>147</sup> მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული, 2016 წ., გვ 92

<sup>148</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 404

<sup>149</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ.

115

<sup>150</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 120

<sup>151</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 427

ვინაიდან არბიტრაჟის იურისდიქციას მხარეთა შეთანხმება წარმოშობს, არბიტრს შეუძლია რაიმე მოქმედების განხორციელება დაავალოს მხოლოდ ამ იურისდიქციის მიმნიჭებელ პირებს, ანუ მხარეებს და არა მესამე პირებს.<sup>152</sup> შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ არავითარი ბერკეტი მიიღონ ისეთი მტკიცებულება, რომელიც მესამე პირის ხელშია, ან მოწმის სახით დაკითხონ ისეთი პირი, რომელიც არ წარმოადგენს საარბიტრაჟო მხარეს.

აღსანიშნავია, რომ კანონის 35.2. მუხლის მიხედვით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია: ა. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება; ბ. გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს; გ. საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება. თუმცაღა, მტკიცებულებების მიღებისას, არსებითი ფაქტების დადგენის მიზნით, საარბიტრაჟო სამართალი არ იცნობს იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. მხარეები თვითონ ნებაყოფლობით წარუდგენენ აუცილებელ მტკიცებულებებს იმისათვის, რომ სადავო საკითხი გადაწყდეს.<sup>153</sup>

### 3.2. სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში

მხარეთათვის მოქმედების დავალების შემთხვევაშიც კი, არბიტრის გადაწყვეტილება არ არის იმგვარადვე თვითაღსრულებადი, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>154</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის ეფექტურად და ჯეროვნად გადაწყვეტის მიზნით, მოხდეს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულებების მოპოვება და შეფასება, კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს დახმარებას მტკიცებულებათა მოპოვებაში. აქედან გამომდინარე, მტკიცებულების მიღებისა და ფიქსაციისას სასამართლოს დახმარებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან არბიტრაჟი არ არის აღჭურვილი საჯარო უფლებამოსილებით, რის გამოც გამორიცხული არ არის საარბიტრაჟო განხილვის შეფერხება მტკიცებულებათა მიღების შეუძლებლობის გამო.<sup>155</sup>

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარება ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც კანონი აძლევს არბიტრაჟს უფლებას „მოსთხოვოს“

<sup>152</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 122

<sup>153</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 102

<sup>154</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 122

<sup>155</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ. გვ 536

სასამართლოს რაიმეს გაკეთება,<sup>156</sup> ყველა დანარჩენი შემთხვევა, როდესაც სასამართლო მონაწილეობას იღებს საარბიტრაჟო განხილვის სხვადასხვა სტადიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ „აუცილებელი ჩარევის“ სტატუსის მქონე შემთხვევებს წარმოადგენენ.

მნიშვნელოვანია, თუ ვის აქვს უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარებისათვის. კანონის 35.3. მუხლის გათვალისწინებით, აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნია არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით. შესაბამისად, მხარე მხოლოდ საკუთარი ნებით ვერ „მოსთხოვს“ სასამართლოს დახმარების გაწევას. ამასთან დაკავშირებით, მან პირველ რიგში უნდა მოახდინოს არბიტრაჟის ინფორმირება და მოიპოვოს მისი თანხმობა. არ არის განსაზღვრული თუ რა ფორმის თანხმობის წარდგენას ითხოვს სასამართლო. მთავარია, შეიძლებოდეს თანხმობის იდენტიფიცირება და მისი შინაარსის დადგენა, რათა სასამართლო დარწმუნდეს, რომ არბიტრაჟმა გასცა თანხმობა.<sup>157</sup>

არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობის საფუძველზე, უფლება აქვთ სასამართლოს მოსთხოვონ მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარება, საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. სასამართლო ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს საარბიტრაჟო განხილვას,<sup>158</sup> მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების გაწევით გზით. თუმცა, მან შინაარსობრივად არ უნდა შეაფასოს მტკიცებულებათა რელევანტურობა.<sup>159</sup> სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასებასა და გამოვკლევაში მონაწილეობის მიღება, იქნება უხეში დარღვევა მათი მხრიდან, რაც წინააღმდეგობაში მოვა არბიტრაჟი ინსტიტუტთან, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზის, სასამართლოს პარალელურად არსებობის და ფუნქციონირების არსთან.

ასევე საყურადღებოა, რომ სასამართლოს ეს ფუნქცია მოქმედებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოშია და არა მის ფარგლებს გარეთ.

### **3.2.1. სასამართლოს მხრიდან დახმარება მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით**

საარბიტრაჟო განხილვის დროს, მხარის მიერ მითითებული გარემოებების ან ფაქტების დადგენის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება. თუმცა, შესაძლებელია იგი უარს აცხადებდეს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე და ამის გამო, შესაძლებელი იყოს მხარისთვის ზიანის მიყენება იმ

<sup>156</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 128

<sup>157</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ.124

<sup>158</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 168

<sup>159</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ.გვ 130

კუთხით, რომ აღნიშნული მოწმის მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდეს მხარის მიერ წარდგენილი გარემოების დადასტურება.

როგორც აღვნიშნეთ, არბიტრაჟს არ გააჩნია საარბიტრაჟო მხარეების გარდა, მესამე პირების დავალდებულება გამოცხადდნენ და მონაწილეობა მიიღონ საარბიტრაჟო წარმოებაში. შესაბამისად, როგორც წესი, არბიტრაჟი იმ მხარეს ავალებს მოწმის წარმოდგენის უზრუნველყოფას, რომელიც ეყრდნობა მოწმის ჩვენებას. თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეს არ შეუძლია უზრუნველყოს მოწმის წარდგენა, რადგან მოწმე უარს აცხადებს თანამშრომლობაზე,<sup>160</sup> არბიტრაჟს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც იყენებს იძულებით ღონისძიებებს.<sup>161</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 356<sup>19</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ როდესაც არბიტრაჟი, მოწმის უზრუნველსაყოფად მიმართავს სასამართლოს, ამ უკანასკნელმა უნდა გამოიყენოს სსსკ-ს 145-ე მუხლით გათვალისწინებული წესები, რომელიც ეხება მოწმის გამოძახებას სასამართლო წარმოების დროს. კერძოდ, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია, გამოცხადდეს და მისცეს სწორი ჩვენება. არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით და სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.<sup>162</sup> როგორც აღვნიშნული დახმარების გაწევის მიზნიდან გამომდინარეობს, სასამართლოს უნდა უზრუნველყოს მოწმის გამოცხადება საარბიტრაჟო განხილვის ადგილას და არა სასამართლო დაწესებულებაში.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნად, მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟს არ გააჩნია უფლებამოსილება უზრუნველყოს მესამე პირების განხილვაზე გამოძახება, ან შესაბამისი დაწესებულებიდან მტკიცებულების გამოთხოვა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მისთვის ისეთი სამართლებრივი ბერკეტის მინიჭებას, რომ შეძლოს სხვა ორგანოს, კერძოდ სასამართლოს, დახმარებით მოიპოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. შესაბამისად, საარბიტრაჟო სამართალი იცნობს იძულებით ღონისძიებებს, მხოლოდ მას ახორციელებს სასამართლოს მეშვეობით.<sup>163</sup>

<sup>160</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ, გვ 130

<sup>161</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 102

<sup>162</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017წ, გვ 132

<sup>163</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 102

## 4. სასამართლოს უფლებამოსილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან მიმართებით

### 4.1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

არბიტრების მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შესაძლოა იძულებით აღსრულდეს.<sup>164</sup> აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის.<sup>165</sup> ერთპიროვნული არბიტრის ან არბიტრთა კოლეგიის მიერ, ის გამოიტანება წერილობითი ფორმით. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მშემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.<sup>166</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შედეგს და იმ გადამწყვეტ სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის მიღებაც მხარეთა უმთავრესი მიზანია.<sup>167</sup> თუმცაღა აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ უნდა მიენიჭოს სრული უფლებამოსილება რომელიმე კერძო ინსტიტუტს, საკუთარი ნების საფუძველზე მიიღოს იძულებით აღსასრულებელი გადაწყვეტილება. შესაბამისად, მხარეთათვის მნიშვნელოვანია ისეთი ძალის არსებობა, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებაში გათვალისწინებული პირობების დაცვაზე იზრუნებდა. ეს კი მხოლოდ სახელმწიფოს ძალაში.<sup>168</sup>

მაკონტროლებელი ფუნქცია, რომელიც სასამართლოს გააჩნია არბიტრაჟის ინსტიტუტთან მიმართებაში, ყველაზე მეტად სწორედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის იურიდიული ძალის მინიჭებაში გამოიხარება. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უტოლდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, საჩუქარია, რომელიც მხარეებს ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის ხარჯზე ეძლევათ.<sup>169</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდება სააპელაციო წესის კლასიკური გაგების თვალსაზრისით. შესაბამისად, საჭიროა სასამართლოს, რომელიც დაინტერესებია სამოქალაქო-სამართლებრივი წყობის სიმტკიცით, მართლწესრიგით შენარჩუნებით,<sup>170</sup> გააჩნდეს ისეთი სამართლებრივი ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც შეეძლებოდა განეხორციელებინა ჩარევა საარბიტრაჟო განხილვის დასრულებისას. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებზე ვრცელდება, სახელმწიფო კონტროლის გარეშე მესამე პირებს არ ექნებათ იმის გარანტია, რომ მათი ნების

<sup>164</sup> Карабелъников Б.Р.Международный коммерческий арбитраж.Учебник,2 издание,Москва,2013г, 244

<sup>165</sup> Shapakidze I., International Arbitration : The Arbitration Institute Of The Stockholm Chamber Of Commerce,

ქართული სამართლის მიმოხილვა 4, 1998 წ, გვ 26

<sup>166</sup> Комаров В. В.,Погорецкий В. Н, Международный коммерческий арбитраж, Право, Харьков,2009, 148

<sup>167</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ, გვ 462

<sup>168</sup> გოთუა ლ., მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ., გვ 138

<sup>169</sup> ჯაფარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, წელიწდეული, 2013 წ., გვ 193

<sup>170</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ, გვ 441

საწინააღმდეგოდ ჩათრეული არ იქნებიან საარბიტრაჟო წარმოებაში და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მათთვის ზიანის მომტანი შედეგები არ ექნება.<sup>171</sup>

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა იცნობს სასამართლოს ჩარევის განხორციელებას მისი გაუქმებისა და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის მეშვეობით. თუმცა, რომ არ მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება, რათა ზიანი არ მიადგეს არბიტრაჟი არსს და მის უპირატესობებს,<sup>172</sup> კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასეთი კონტროლის მქანიზნის კონკრეტული საფუძვლები.

#### 4.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

ზოგადი პრინციპის თანახმად, სასამართლოში გასაჩივრება გულისხმობს შესაბამისი სახელმწიფოს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას.<sup>173</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ერთადერთი საწინააღმდეგო საპროცესო საშუალება არის მისი გასაჩივრება.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს ზედამხედველობის ფუნქციიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე,<sup>174</sup> თუმცა მხოლოდ კანონმდებლობით შეზღუდული და ზუსტად გაწერილი გარემოების არსებობისას. აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს, წარიმართა თუ არა არბიტრაჟი სამართლიანი პროცესის ძირითადი პრინციპების დაცვით და მიეცათ თუ არა მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე, მათი საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად და მის ფარგლებში.<sup>175</sup> თუმცა, სასამართლო არ უნდა ჩაერიოს არბიტრაჟის კომპეტენციაში და არსებითად არ უნდა განიხილოს დავის საგანი, ვინაიდან ეს შეეწინააღმდეგებოდა არბიტრაჟის, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალების, ძირითად არსს.

მხარისათვის ნების დართვა, ადვილად გასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არბიტრაჟს წაართმევდა ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას, ანუ დავების სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტის საშუალებას. ამის შესაბამისად, არბიტრაჟის კანონი ითვალისწინებს მხოლოდ შეზღუდულ საფუძვლებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად.<sup>176</sup> გაუქმებას ექვემდებარება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალი საბოლოოდ გადაწყვეტს მხარეთა შორის სადავო ერთ ან ყველა

<sup>171</sup> გოთუა ლ., მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ., გვ 138

<sup>172</sup> ტყემალაძე ს., ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მეორე გამოცემა, 2013 წ., გვ 16

<sup>173</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 623

<sup>174</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., გვ 66

<sup>175</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., გვ 66

<sup>176</sup> ოსტერმილერი ს., არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა, წელიწდეული, 2016 წ., გვ 100

მატერიალურ-სამართლებრივ საკითხს<sup>177</sup> და არა საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე მიღებული შუალედური გადაწყვეტილებები. კანონის 42.2.ა).ა.გ) მუხლის თანახმად, აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, იმ შემთხვევაში თუ ამ ნაწილის გამოცალკეება შეიძლება მთლიანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან.

გასათვალისწინებელია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც გამოიტანეს აღნიშნული გადაწყვეტილება.<sup>178</sup> საქართველოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილები გაუქმების საკითხს განიხილავს სააპელაციო სასამართლო. შესაბამისად, ეს სასამართლო განიხილავს მხოლოდ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს, რაც შეეხება უცხოეთში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, მათი გაუქმების უფლება ქართულ სასამართლოს არ აქვს.<sup>179</sup>

მხარის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა დროში შეზღუდული პროცესია. თუ მხარე დადგენილ ვადას გაუშვებს, მას ერთმევა გასაჩივრების და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა.<sup>180</sup> ეს პრინციპი გამომდინარეობს უფრო ფართო, კეთილსინდისიერების პრინციპიდან. მხარეს არ უნდა ჰქონდეს საშუალება, ბოროტად გამოიყენოს შედაგების უფლება.<sup>181</sup> კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი მუხლი ადგენს, რომ მხარემ, რომლის წინააღმდეგაცაა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მისი გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დასაშვებად მიიჩნევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის წარდგენა დაინტერესებული პირის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების ან წარმოების მხარე.<sup>182</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი არბიტრაჟმა მიაკუთვნა ორი მოდავე კერძო პირიდან ერთ-ერთს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრაჟისათვის ცნობილი გახლდათ, რომ მიწა იყო სახელმწიფო საკუთრებაში.<sup>183</sup> შესაბამისად, მესამე პირების მიერ საჩივარი გაუქმებაზე იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ისინი ჩართულნი

<sup>177</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ. 72

<sup>178</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ. 74

<sup>179</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები

ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 129

<sup>180</sup> ჯაფარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, წელიწადი, 2013 წ., გვ 207

<sup>181</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ. 119

<sup>182</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ. 78

<sup>183</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე №28-772-12

იყენენ საარბიტრაჟო წარმოებაში იმის საფუძველზე, რომ დავის საბოლოო შედეგს, მათ უფლებებს ან ინტერესებზე შეიძლება მოეხდინა ზეგავლენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 356<sup>24</sup>. მუხლის თანახმად, სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი უნდა განიხილოს მისი წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. თუმცა, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის შეჩერებას. კანონის 43-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა, რათა არბიტრაჟს მიეცეს შესაძლებლობა, განაახლოს განხილვა ან განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც, არბიტრაჟის შეხედულებით, აუცილებელია გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად. სასამართლოს ამ უფლების გამოყენება შეუძლია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის წარმოებაში მიღებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადით. აღნიშნული საფუძველით საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლო უწყებით ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შესაძლოა წარმოებაში საერთოდ არ მიიღოს მხარის საჩივარი (კანონის 42.5. მუხლი), თუ საფუძველი, რომელსაც საჩივარი ეფუძნება, სასამართლომ უკვე განიხილა და არ დაეთანხმა ცნობა-აღსრულების ეტაპზე. ხოლო თუ ასეთი საჩივარი მიღებულია, მაშინ მასზე წარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, კომპეტენტური სასამართლო, რომელშიც მხარე მოთხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, შესაძლოა მივიდეს სხვადასხვა გადაწყვეტილებამდე: გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, უარი თქვას გადაწყვეტილების გაუქმებაზე და ძალაში დატოვოს იგი, გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა და ნება დართოს არბიტრებს მიიღონ ზომები, რომლებიც აღმოფხვრის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველებს.<sup>184</sup>

#### **4.2.1. საარბიტრაჟო გაუქმების საფუძველები**

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი, შეზღუდულია კანონით, რომელშიც ზედმიწევნითაა განსაზღვრული. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები, მტკიცების ტვირთის დაკისრების მხრივ, შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად: მხარის მიერ საჩივარში მითითებული და სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით დადგენილი საფუძველები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელზე აპელირება თავად მხარესაც შეუძლია.

<sup>184</sup> ჯაფარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, წელიწდეული, 2013 წ., გვ 208

#### 4.2.1.1. მხარის მოთხოვნით

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, რომლებზეც მითითებისას მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, ითვალისწინებს კანონის 45.2.ა) მუხლი:

1. საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია - იმისთვის, რომ პირმა დამოუკიდებლად, საკუთარი მოქმედებით შეიძინოს უფლებები, იტვირთოს მოვალეობები და წარმოშვას სხვა სამართლებრივი შედეგები, მას უნდა ჰქონდეს ქმედუნარიანობა.<sup>185</sup> იგი ნებისმიერი ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობაა. თუმცა შესაძლებელია, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს - მხარდამჭერის მიმღებს, კონკრეტულ საკითხებში დაენიშნოს მხარდამჭერი, რომელიც მისი სახელით განახორციელებს გარკვეულ ქმედებებს. შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს, როდის არის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება და იმ დროისთვის პირი იყო თუ არა უფლებამოსილი ან დანიშნული ჰყავდა მხარდამჭერი, თუმცა მისგან მხარდაჭერა არ მიუღია. ასეთი გარემოების მხარის მიერ დამტკიცების შემთხვევაში კი სახეზე გვექნება საარბიტრაჟო გაუქმების საფუძველი.

2. იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას - საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია - არბიტრაჟის არსიდან გამომდინარე, რომელიც ეფუძნება კერძო ავტონომიის პრინციპს მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შეთანხმდნენ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისა და ძალადაკარგულობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ.<sup>186</sup> შესაბამისად, თუ აღნიშნული წესების მიხედვით, ან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით მიერ გათვალისწინებული დანაწესით, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი ან ძალადაკარგული იქნება, იარსებებს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

3. მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები - საგულისხმოა, რომ სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, de minimis პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანი პროცესის პრინციპების დარღვევის დადგენა ყოველთვის არ იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას.<sup>187</sup> მიიჩნევა, რომ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მიზეზობრივი

<sup>185</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009წ. გვ 115

<sup>186</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ, 128

<sup>187</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ, 131

კავშირი ასეთ საპროცესო ხარვეზსა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას შორის და როცა მხარეს სხვაგვარად არ შეეძლო თავისი უფლებების დაცვა.<sup>188</sup> შესაბამისად, თუ აღნიშნული საფუძვლით გათვალისწინებული დარღვევის არ არსებობის დროსაც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგი უცვლელი იქნებოდა, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება - ამ ნორმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების გადამეტებას ყველაზე ხშირად აქვს ადგილი ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ფორმით, რომლის დავის საგანი საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის მოწესრიგებული.<sup>189</sup> შესაბამისად, ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც არბიტრაჟი გასცდა საარბიტრაჟო მოთხოვნის ფარგლებს.<sup>190</sup> ასევე გათვალისწინებულია გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, თუ იმ ნაწილის გამოცალკევება იქნება შესაძლებელი, რომელიც მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. ამ პუნქტის არსებობასთან გვაქვს ასევე საქმე თუ სახეზეა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ იმ სამართლის გამოყენება, რომელიც მხარეებს არ აურჩევიათ.<sup>191</sup>

5. არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – ამ კანონის მოთხოვნებს - მხარეთა მიერ შეიძლება შეთანხმებული იყო ტრიბუნალის შემადგენლობის დანიშნა/აცილების წესი, მიუკერძოებლობა/დამოუკიდებლობის სტანდარტი, საარბიტრაჟო განხილვის რომელიმე სტადიის შესახებ რაიმე კონკრეტული რეგულაცია და ა.შ. შეთანხმების არ არსებობის დროს, საარბიტრაჟო წარმოება უნდა განხორციელდეს, კანონით განსაზღვრული ნორმების მიხედვით. ამგვარი წესების დარღვევით არსებული სამართლებრივი დავის გადაწყვეტა, შესაძლოა შემდეგ გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

<sup>188</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 76

<sup>189</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 77

<sup>190</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 142

<sup>191</sup> ჯაფარიძე ს., საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება, წელიწდეული, 2013 წ., გვ 220

#### 4.2.1.2. სასამართლოს ინიციატივით

სასამართლოს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია, თუ იგი დაადგენს, რომ:

1. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი - მხარეთა არჩევანი, დავა არბიტრაჟმა განიხილოს, მხარეთა ავტონომიის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. თუმცა, ისევე, როგორც კერძო ავტონომიის ფარგლები, არბიტრაჟის მიერ განხილვადი (არბიტრაჟუნარიანი) საკითხების წრე არ არის შეუზღუდავი. იგი განსაზღვრულია, ერთი მხრივ, თვით არბიტრაჟის ბუნებით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებით.<sup>192</sup> ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რაიმე კონკრეტული საამართლებრივი მოწესრიგების სფეროს ხომ არ ეხება მხარეთა შორის, არბიტრაჟის მიერ განხილული დავა, ან ექცევა თუ არა იგი არბიტრაჟუნარიანობის ფარგლებში. კანონით არაა განსაზღვრული დავების ჩამონათვალი, რომელთა განხილვაც შეუძლია/არ შეუძლია არბიტრაჟს. თუმცა, ზოგიერთი კანონი თავად ადგენს მასში მოცემულ საკითხებზე წარმოშობილი დავის შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოს. მაგალითად, საგადასახადო კოდექსში<sup>193</sup> და „მეწარმეთა შესახებ“ კანონში,<sup>194</sup> კონკრეტულ შემთხვევებში გათვალისწინებულია სასამართლოსა და სხვა საჯარო ორგანოთა მიერ დავის გადაწყვეტის ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც გამორიცხავს შესაბამისი საკითხის განხილვას არბიტრაჟის მიერ.<sup>195</sup> აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟუნარიანობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია საამისოდ კანონით დადგენილი ფარგლები.<sup>196</sup> კერძოდ, ის რომ არბიტრაჟს შესაძლოა გაადაეცეს კანონის თანახმად, არბიტრაჟს განსახილველად შეიძლება გადაეცეს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, ან „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს - ამ საფუძველთაგან, საჯარო წესრიგი ის ერთადერთი საშუალებაა, როდესაც სასამართლოს შეუძლია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსებით ნაწილს შეეხოს.<sup>197</sup> „საჯარო წესრიგი“ მოიცავს იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომელზე დაფუძნებულიც

<sup>192</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 49

<sup>193</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, „საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში.“

<sup>194</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 534.2. მუხლის მიხედვით, სასამართლო იღებს

გადაწყვეტილებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ.

<sup>195</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., 151

<sup>196</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2017 წ., გვ. 24

<sup>197</sup> ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა) ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მეორე გამოცემა, 2013 წ., გვ. 15

არის ქვეყნის კანონმდებლობა.<sup>198</sup> გაბატონებულია მოსაზრება, რომ საჯარო წესრიგთან აქტის შესაბამისობის კონტროლის საგანი არის არა იმის დადგენა, ეწინააღმდეგება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლის იმპერატიული ნორმები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არამედ მარტოდენ იმაში დარწმუნება, რომ ეს აქტი აკმაყოფილებს ქვეყნაში სამართლიანი პროცესისთვის არსებულ მინიმალურ სტანდარტებს.<sup>199</sup> სასამართლო ვალდებულია მხოლოდ ის შეამოწმოს, თუ რამდენად არის წინააღმდეგობაში არბიტრაჟის გადაწყვეტილება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ძირითად პრინციპებთან და არა თითოეულ მარეგულირებელ ნორმასთან.<sup>200</sup> თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო წესრიგი მაშინაც შეიძლება დაირღვეს, როცა არბიტრაჟი ზედმიწევნით იცავს მხარეთა შეთანხმებას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. არბიტრაჟის მიერ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლის გამოუყენებლობა წარმოადგენს არა მატერიალური, არამედ საპროცესო საჯარო წესრიგის დარღვევას და ისიც არა ყველა შემთხვევაში.<sup>201</sup> აქედან გამომდინარე, საჯარო წესრიგთან დაკავშირებით არ არსებობს ერთი კონკრეტული უნიფიცირებული განარტება. სასამართლოს პრეროგატივაა, ყოველი კონკრეტული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეაფასოს ამ კუთხით, თავად დააკონკრეტოს მისი შინაარსი და მასთან წინააღმდეგობაში მყოფი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გააუქმოს.

### 4.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

სახელმწიფო კონტროლის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულება. ამ უკანასკნელის გარეშე, მთელს საარბიტრაჟო წარმოებას ეკარგება აზრი, ვინაიდან გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არც ერთ დაწესებულებას არ ექნება უფლებამოსილება, მხარეს მოსთხოვოს მისი იძულებით აღსრულება.

მოქმედი კანონმდებლობა, ანალოგიურ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებისთვის მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა,<sup>202</sup> გარკვეული გამონაკლისი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ცნობა – თავის თავში მოიცავს ცნობის განმახორციელებელი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების ინტეგრაციას.<sup>203</sup> განსაზღვრავს, რომ აღნიშნულ დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და იმავე საკითხის

<sup>198</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟოში, წელიწდეული, 2013 წ, გვ 101

<sup>199</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 80

<sup>200</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟოში, წელიწდეული, 2013 წ, გვ 101

<sup>201</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ, გვ 665

<sup>202</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 47

<sup>203</sup> ჩომახიძე ნ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟოში, წელიწდეული, 2013 წ, გვ 98

თავიდან განხილვა არ მოხდება არცერთი ინსტიტუტის მიერ. ცნობა ნიშნავს იმის დადასტურებას, რომ უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც შიდა გადაწყვეტილებას.<sup>204</sup>

აღსრულება - ის თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილების კანონიერად აღიარებას, არამედ მისი შესრულების უზრუნველყოფასაც,<sup>205</sup> კერძოდ, იმის დადასტურება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება იძულებით იქნეს აღსრულებული.<sup>206</sup> მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გათანაბრებულია სასამართლო გადაწყვეტილებასთან, არბიტრაჟს თავად არ შეუძლია იქონიოს აღსრულების უფლებამოსილება. ეს იმიტომ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მართალია უთანაბრდება სასამართლო გადაწყვეტილებას, იგი არ არის სუვერენული სამართლებრივი აქტი.<sup>207</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე, მხარეებისთვის სამართლებრივი შედეგი შეიძლება საერთოდ არ დადგეს, რაც აზრს უკარგავს არბიტრაჟის ინსტიტუტის არსებობას.

#### **4.3.1. ცნობა-აღსრულების პროცედურა**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს განსაზღვრავს კანონის 44-ე მუხლი. იმისათვის, რომ სასამართლომ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ, მხარის შუამდგომლობა განიხილოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მისი წარმოებაში მიღების საფუძვლებს, როგორებიცაა განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი პირი, განსჯადი სასამართლო, თანდართული დოკუმენტაცია, ვადა.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ შუამდგომლობის წარდგენა უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარის მიერ. დაინტერესებულ მხარეში უნდა ვიგულისხმოდ საარბიტრაჟო წარმოებაში ჩართული ისეთი პირი, ვის სასარგებლოდაც, თუნდაც ნაწილობრივ, გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

ზემოთხსენებული განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს განსჯად სასამართლოში. საქართველოს ფარგლებში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს განიხილს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით, მხარემ იმ სასამართლოში უნდა წარადგინოს შუამდგომლობა, რომლის სამოქმედო არეალშიც წარიმართა საარბიტრაჟო წარმოება.<sup>208</sup>

ცნობა-აღსრულების განცხადებას უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელსაც განსაზღვრავს ზემოთხსენებული მუხლის მე-2 პუნქტი. შესაბამისად, მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე,

<sup>204</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 654

<sup>205</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, წელიწდეული, 2013 წ., გვ 98

<sup>206</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 654

<sup>207</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 141

<sup>208</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ., გვ 97

უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. თუ რომელიმე მათგანი, არ იქნება შესრულებული ქართულ ენაზე, მხარეს ევალუა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

სსკს-ს 356<sup>21</sup>-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოში, მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის შემდეგ, იგი უნდა გადაეგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც განესაზღვრება 7 დღე, საპასუხოდ წარადგინოს და ამტკიცოს, აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმისთვის, კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. ვინაიდან, ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძვლებს მოიცავს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები, საარბიტრაჟო მოპასუხე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა იმ საფუძვლებით, რომლებიც მას გაცხადებული ჰქონდა ამავე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მის მიერ შეტანილ საჩივარში.<sup>209</sup> ასეთი განცხადების შეტანისას, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განცხადების წარმოებაში მიღებაზე. ვინაიდან, თუ კიდევ მოხდება მისი განხილვა, მაშინ საქმე გვექნება ორმაგ სტანდარტთან - მხარეს შესაძლებლობა ექნებოდა ორი განსხვავებული მექანიზმის წინააღმდეგ, სასამართლოსთვის ერთი და იმავე საფუძვლის მეშვეობით მიემართა. შესაბამისად, აღნიშნული უფლება ბოროტად გამოეყენებინა დროის გაჭიანურების მიზნით. იგივე შედეგია გათვალისწინებული, თუ მხარეს არ გაუსაჩივრებია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, შესაბამისი ვადის დაცვით.

არბიტრაჟის ინსტიტუტის უპირატესობის, ეფექტური და დროში შემცირებული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს განჩინების ფორმით, ზემოთხსენებული 7-დღიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 30 დღისა. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარის მიერ, კანონით განსაზღვრული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილია საჩივარი საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ან შეტანილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობით, უფლება აქვს, არაუმეტეს 30 დღით გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა. ასევე, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებით დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, დაავალოს მეორე მხარეს, წარმოადგინოს შესაბამისი უზრუნველყოფა.

სასამართლოს მიერ, მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოტანილი განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მეშვეობით,

<sup>209</sup> თითბერიძე გ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ., გვ 158

ხდება აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

**4.3.1.1. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებს თავისებურებები**  
უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთან მიმართებაშიც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.<sup>210</sup> უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს თეორია, რომელიც ქართულად შეგვიძლია „გათანაბრების თეორიად“ ვთარგმნოთ. ამის მიხედვით, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას.<sup>211</sup>

მოქმედი კანონის პროგრესულ ნიშან-თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იგი იდენტურ სამართლებრივ რეჟიმს აწესებს როგორც ქართული ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისთვის,<sup>212</sup> ამრიგად, მასზე ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების წესები, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, რომელთა მიმართ დაწესებულია სპეციალური რეგულაციები.

პირველ რიგში, ამგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, რომ ქვეყნის შიგნით გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მხარეს მოეთხოვება, სასამართლოს წარუდგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი და არა მისი ასლი, როგორც საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილების დროს იყო შესაძლებელი. ასევე აუცილებელია, ამ უცხოენოვან გადაწყვეტილებას ერთვოდეს სათანადოთ დამოწმებული თარმგანი.

#### **4.3.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები იდენტურია გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებისა. ამით ფაქტიურად შექმნილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის ერთიანი უნიფიცირებული სისტემა, რომელიც დამოკიდებული არ არის იმაზე, სად მოითხოვება აღსრულება.<sup>213</sup> დამატებით განსაზღვრულია მხოლოდ ერთი საფუძველი, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ მხარეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარი უნდა უთხრას თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან

<sup>210</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 12

<sup>211</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 14

<sup>212</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 43

<sup>213</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ., გვ 624

შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება. ამრიგად, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას მის გამომტან სახელმწიფოში. თუ იქ მისი ძალადაკარგულად აღიარება მოხდა, ანუ იმ სამართლით, რომელიც ქართული თვალსაზრისით გამოყენებული უნდა იქნას, მაშინ ევროპაში არსებული დოქტრინის თანახმად საქმე გვაქვს სამართლებრივ “ნულთან”, რომლის არც ცნობა და არც აღსრულება არ დაიშვება.<sup>214</sup>

### III. დასკვნა

დღესდღეისობით, დავების განხილვის ალტერნატიული საშუალების, კერძოდ, არბიტრაჟის მეშვეობით დავების გადაწყვეტა საკმაოდ პოპულარული გახდა. მისი აქტუალობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების ფონზე. ეს გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული რიგი მიზეზების გამო, როგორებიცაა მისი სისწრაფე, ეფექტურობა, მხარეთა მიერ პროცესის მართვა, ნაკლები ფინანსური სასხრები და პროცედურული ფორმლობები, და ბოლოს, რაც მთავარია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის, სასამართლო გადაწყვეტილებების მსგავსად, სავალდებულო ძალის მინიჭება.

ნაშრომში განხილულია, არბიტრაჟთან მიმართებაში სასამართლოს ორი ძირითადი : დახმარების და ზედამხედველობის გაწევის ფუნქცია. სასამართლოს მიერ არბიტრაჟის საქმიანობაზე კონტროლის დაწესება, გამართლებულია. არბიტრაჟი წარმოადგენს კერძო ინსტიტუტს, რომელიც დავის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას, თავისი რეგლამენტის ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული წესებით ხელმძღვანელობს. აქედან გამომდინარე, მისთვის სრული თავისუფლების მინიჭება, შესაძლოა თვითნებობის განხორციელების საფუძველი ყოფილიყო, ვინაიდან თუ არ იარსებებდა რაიმე სახელმწიფო ძალა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა არბიტრაჟის საქმიანობას. შესაბამისად, კერძო ინსტიტუტისთვის ისეთი საჯარო უფლებამოსილების მინიჭება, როგორიცაა მისი გადაწყვეტილების აღსრულების იძულებითი შესაძლებლობა, სრულ სამართლებრივ დისონანსს და არასტაბილურობას გამოიწვევდა.

მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია რა როლის და ფუნქციების შესრულება შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო წარმოების ოთხ სხვადასხვა სტადიაზე, როგორებიცაა არბიტრის არჩევა/აცილება/უფლებამოსილების შეწყვეტა, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება/ცნობა-აღსრულება. თითოეულ ეტაპზე,

<sup>214</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2010 წ., გვ 136-137

სასამართლოს სხვადასხვა სახით უწევს ზედამხედველობას არბიტრაჟის საქმიანობას. ზოგჯერ იგი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ერევა წარმოებაში, როგორებიცაა საარბიტრაჟო ტრიბუნალთან და მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები, და ზოგჯერ სწორედ მისი კონტროლის საფუძველზე, არბიტრაჟი იძენს ქმედით ფუნქციას. კერძოდ, სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების და საბოლოო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საშუალებით არის შესაძლებელი შედეგის მიღწევა.

ნაშრომში ასევე განხილულია თუ რა ზღვარი უნდა დაიცვას სასამართლომ საარბიტრაჟო წარმოებაში ჩართვის დროს, რისი უფლება გააჩნია ან არ გააჩნია. სასამართლომ თავისი უფლებამოსილების ბალანსირება უნდა მოახდინოს, ვინაიდან მთლიანი კონტროლის სასამართლოს მიერ განხორციელების შემთხვევაში, აზრი დაეკარგებოდა არბიტრაჟის ინსტიტუტის არსებობის არსს.

როგორც აღვნიშნეთ, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი მაქსიმალურად ითვალისწინებს ნიუ-იორკის კონვენციის და მოდელური კანონის ნორმებს. თუმცა აღნიშნულ კანონსაც გააჩნია თავისი ხარვეზები. კერძოდ, სასურველი იქნება საჯარო წესრიგის ცნება უფრო დეფინიის დონეზე განისაზღვროს და კანონში კონკრეტულად გაიწეროს, რათა ცალკეულ მოსამართლეს არ უწევდეს მისი „სუბიექტურად“ შეფასება. ასევე, როგორც აღვნიშნეთ, არბიტრის აცილების განხილვის დროს, მიზანშეწონილი იქნება, რომ საარბიტრაჟო წარმოება შეჩერდეს და არა გაგრძელდეს აღნიშნული არბიტრის მონაწილეობით. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში მოხდება მისი უფრო დახვეწა და სრულყოფილად ჩამოყალიბება, თუმცა სასამართლოს ხელშეწყობის გარეშე, ვერ მოხდება საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარება და დამკვიდრება ქართულ რეალობაში. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნად რომ სრულიად სამართლიანია სახელწმიფოს მხრიდან საარბიტრაჟო წარმოებაში ჩარევა, რადგან თვითონ მხარეების ინტერესებშიც უნდა შედიოდეს ისეთი ძალის არსებობა, რაც აიძულებდა არბიტრაჟს, თავისი უფლებამოსილება განეხორციელებინა კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოებში. თუმცაღა, სასამართლოს ამგვარი ჩარევა, განპირობებული უნდა იყოს კანონიერების და არა სასამართლოს თვითნებობის ფარგლებში.

შესაბამისად, სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო საქმიანობაში მეტად ფაქიზი საკითხია. კანონმდებელმა ზუსტად უნდა იპოვოს ოქროს შუალედი კონტროლსა და დახმარებას შორის, რათა, ერთი მხრივ, არ მივიღოთ უმართავი პროცესები და, მეორე მხრივ, არ დავაკნინოთ არბიტრაჟის ინსტიტუტი, არ შევზღუდოთ იგი თავის საქმიანობაში ისე, რომ ზიანი მიადგეს მის უპირატესობას სახელმწიფო სასამართლოებთან მიმართებაში, რაც მის პოპულარობასა და აქტუალობას მიაყენებს დარტყმას.<sup>215</sup>

<sup>215</sup> ფიცხელაური ნ., „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ., გვ 170

## ბიბლიოგრაფია :

- ანდლულაძე ქ. „საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა“, თბილისი, 2013 წ.;
- გოთუა ლ. მართლმსაჯულება, N 2, 2007 წ.;
- გოთუა ლ. „ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, თბილისი, 2010 წ.;
- თითბერიძე გ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2017 წ.,
- ინჯია ბ.,ლაპიაშვილი ნ არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, №65 – „საგანგებო არბიტრი“, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016წ.;
- კაჭაშვილი გ. „საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელება მესამე პირებზე“, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013 წ.;
- კერესელიძე დ. „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009 წ.;
- კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე, 2013 წ.
- მაჩაიძე ო. „საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სახეები ქართულ კანონმდებლობაში“, წელიწდეული, 2016 წ.;
- ნარმანია გ. „მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრი-წარსული აწმყო მომავალი“, წელიწდეული, 2014 წ.;
- ოსტერმილერი ს. „არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა“,

წელიწდეული, 2016 წ.;

ტყემალაძე ს.

„საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა)“, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მეორე გამოცემა, 2013 წ.;

ფიცხელაური ნ.

„ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან“, თბილისი, 2015 წ.;

ჩომახიძე ნ.

„სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში“, წელიწდეული, 2013 წ.;

ცერცვაძე გ.

„მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013 წ.;

ცერცვაძე გ.

„საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი)“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი, 2008 წ.

ცერცვაძე გ.

„საერთაშორისო არბიტრაჟი“, თბილისი, მერიდიანი, 2012 წ.;

ჭიტაშვილი რ.

„მედიის უპირატესობები არბიტრაჟთან შედარებით“, წელიწდეული, 2013 წ.;

ჯაფარიძე ს.

„საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება“, წელიწდეული, 2013 წ.;

არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, №65 – „საგანგებო არბიტრი“, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2016წ.;

ქარცივაძე ლ., ჟიჟიაშვილი თ., მორჩილაძე თ., კეკენაძე გ.

გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებისათვის, 2018 წ.;

ტყემალაძე ს., კეკენაძე გ.

გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული)

სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბილისი, 2017 წ.;

- Born G. International Commercial Arbitration, Vol 2, 2009;
- De Fina A. Selecting Arbitrators. 3 CORP.& BUS. L.J. 58, 1990
- United Nations Commision On Internatinal Trade Law UNCITRAL 2012 Digest of Case Law on the Model Law on International Commercial Arbitration
- Shapakidze I. International Arbitration : The Arbitration Institute Of The Stockholm Chamber Of Commerce, ქართული სამართლის მიმოხილვა 4, 1998 წ.
- Карабельников Б.Р. „Международный коммерческий арбитраж“, Учебник. 2 издание, Москва 2013 год;
- Комаров В. В, Погорецкий В. Н. „Международный коммерческий арбитраж“, Право, Харьков, 2009 год;